პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918-ე წელი | № 213 (10910) | კვირა, 8 სექტემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ტანკისტის დღე

დღეს ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხები და მისი შეიარაღებული ძალები აღნიშნავენ თავიანთ ტრადიციულ დღესასწაულს — ტანკისტის დღეს.

წელს საბჭოთა ადამიანები ტანკისტის დღეს ხვდებიან უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ხალხი სულ უფრო ფართოდ ავითარებს თავის შემოქმედებითს ძალებს, დღითიდღე ამრავლებს თავის წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ომის დამთავრების შემდეგ გადავდა რა მშვიდობიან შრომაზე, ჩვენმა დიადმა ქვეყანამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უმოკლეს დროში მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები, აღადგინა სახალხო მეურნეობა და ახალი ძალით მოჰკიდა ხელი კომუნიზმის მშენებლობის ძირითადი ამოცანების გადაჭრას.

წარმატებით შესრულდა ომისშემდგომი ორი ხუთწლედის დავალებები. ახალ წარმატებებს მიაღწია საბჭოთა ხალხმა 1956 წელს, — მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს. 1957 წელს ჩვენმა მრეწველობამ ოქტომბრისწინა პერიოდთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გაადიდა 30-ჯერ და მეტად, ხოლო მძიმე მრეწველობის პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 50-ჯერ და მეტად. პარტიის სწორი ხელმძღვანელობის მეოხებით ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობა მტკიცედ დაადგა მკვეთრი აღმავლობის გზას. ჩვენს ქვეყანას არასოდეს არ მიუღია ისეთი მოსავალი, როგორიც მიიღო გასულ წელს. განუხრელად ხორციელდება მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ღონისძიებანი, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საბინაო მშენებლობის განვითარებას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხებთან ერთად საქართველოს მშრომელებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი. ამ საყოველთაო შეჯიბრების მილიონობით მონაწილის თავდადებული შემოქმედებითი შრომა ნაყოფიერ შედეგებს იძლევა. ყოველდღიურად მატულობს თუჯისა და ფოლადის გამოდნობა, იზრდება ქვანახშირის ამოღება, გეგმის გადამეტებით იძლევიან პროდუქციას ბსუბუჭი და კვების მრეწველობის საწარმოები, ახალ წარმატებებს აღწევენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ჩვენი ხალხი მშვიდობიან შემოქმედებითს შრომასთან ერთად თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობისათვის. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა განუხრელად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ცდილობენ განამტკიცონ თანამშრომლობა და დაამყარონ საქმიანი ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან. ამ ნათელ საგარეო პოლიტიკას მხარს უჭერენ მთელი მსოფლიოს მშრომელები, მთელი მოწინავე კაცობრიობა.

დიდი ოქტომბრის მონაპოვრის სადარაჯოზე დგას გმირი საბჭოთა არმია, რომლის რიგებშიც არიან სახელოვანი ტანკისტები.

საბჭოთა არმიის ყველა გვარეობის ჯარებიდან ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები ყველაზე ახალგაზრდაა. ჩვენს ქვეყანაში ტანკმშენებლობა დაიწყო სამოქალაქო ომის მძიმე წლებში, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა გმირულად უმკლავდებოდა და ანადგურებდა შინაგან კონტრრევოლუციას და უცხოელ ინტერვენტებს. 1919 წელს ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ მუშებმა დაიწყეს პირველი საბჭოთა ტანკების დამზადება, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1920 წლის ბრძოლებში.

საბჭოთა არმიის ჯავშანსატანკო ჯარების შემდგომი განვითარება მოხდა ომამდელი ხუთწლედების მანძილზე, რომელთა განხორციელების შედეგად ძირეულად შეიცვალა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკა და შეიქმნა მისი თავდაცვითი ძლიერების გადიდების საჭირო წინაპირობები. ამ პერიოდში მოეწყო ჩვენში პირველხარისხოვანი სატანკო მრეწველობაც.

საბჭოთა ტანკმშენებლებმა შექმნეს პირველხარისხოვანი საბრძოლო ტანკები. ამ მანქანებმა დიდი სამამულო ომის მძიმე დღეებში გვიჩვენეს თავიანთი დიდი უპირატესობანი მოწინააღმდეგის მანქანების წინაშე.

სამამულო ომის დასაწყისში, როცა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები აქტიურ თავდაცვას იწყოდნენ, საბჭოთა ტანკისტები ყველა გვარეობის ჯარებთან თანამოქმედებით ქანცავდნენ მტერს, სპობდნენ მის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში ერთ-ერთი მკაფიო ფურცელი ტანკისტებმა ჩაწერეს ძლევამოსილ ბრძოლებში მოსკოვთან, სადაც წარმოიშვა პირველი გვარდიული სატანკო ნაწილები.

ჯავშანსატანკო და მექანიზებულმა ჯარებმა თვალსაჩინო როლი შეასრულეს 1944 წლის შეტევაში, როცა საბჭოთა არმიამ ფაშისტებს მიაყენა ათი გამანადგურებელი დარტყმა და მთლიანად გაათავისუფლა ჩვენი ქვეყანა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან.

კიდევ უფრო მეტი წარმატებით მოქმედებდნენ ჯავშანსატანკო და მექანიზებული შენაერთები ომის დამამთავრებელ ეტაპზე — ბერლინისათვის ბრძოლაში, რამაც გამოიწვია გერმანელ ფაშისტთა არმიის საბოლოო განადგურება. ამ ბრძოლებში მონაწილეობდა 6.300 საბჭოთა ტანკი.

საბჭოთა ტანკისტებმა დიდ სამამულო ომში მთელი ჩვენი ხალხის სიყვარული დაიმსახურეს. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ტანკისტების საბრძოლო გმირობას. ათასობით ტანკისტი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით, 1.142 კაცს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 16 კაცს ეს წოდება ორგზის მიენიჭა. 9 ათასზე მეტმა ტანკმშენებელმა მიიღო მთავრობის მაღალი ჯილდო, ბევრ ხელმძღვანელ მუშაკსა და კონსტრუქტორს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საერთაშორისო ბანაკის ძალების განუხრელი ზრდა იწვევს იმპერიალისტთა გააფთრებულ წინააღმდეგობას. ისინი ცდილობენ ძირი გამოუთხარონ სოციალისტური ბანაკის და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის მზარდ ძლიერებას, ამზადებენ ახალ მსოფლიო ომს.

კომუნისტური პარტია, ახორციელებს რა მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ფხიზლად ადევნებს თვალყურს ახალი ომის გაჩაღებელთა ნაბიჯებს, ზრუნავს აქტიური თავდაცვის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა კავშირი ამჟამად მარტო არ არის, მისი საგარეო-პოლიტიკური იზოლაცია წარსულს ჩაბარდა. სოციალიზმი გადაიქცა მსოფლიო სისტემად, რომლის ძალასა და ძლიერებას შეუძლია გაანადგუროს ყოველი აგრესორი. მშვიდობისათვის ბრძოლაში სოციალისტურ ბანაკთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ ის ქვეყნები, რომლებიც ახლახან გათავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან და დაადგნენ დამოუკიდებელი განვითარების გზას. ამის შედეგად შეიქმნა მშვიდობის ფართო ფრონტი, რომელიც მოიცავს ქვეყნებს მილიარდ-ნახევარი კაცი მოსახლეობით.

სოციალისტური ბანაკი, რომელსაც დიდი საბჭოთა კავშირი მეთაურობს, დაუცხრომლად იბრძვის მშვიდობისათვის. მაგრამ თუ აგრესორები შეეცდებიან გააჩაღონ ომი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები საბალხო-დემოკრატიული ქვეყნების არმიებთან ერთად შეძლებენ არა მარტო დაამარცხონ, არამედ კიდეც მოსპონ ისინი და ამით სამუდამოდ იხსნან კაცობრიობა გამანადგურებელი ომებისაგან.

ჩვენი დიადი სამშობლოს მძლავრი ინდუსტრია, რომელიც შექმნა და განავითარა საბჭოთა ხალხმა ლენინის ბრძნული მითითებებით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სწრაფად ვითარდება ტექნიკური პროგრესის გზით, განუხრელად აუმჯობესებს სამშვიდობო დანიშნულების ტექნიკის გამოშვებასთან ერთად საბრძოლო ტექნიკის გამოშვებასაც, ძლევამოსილ საბჭოთა არმიას აიარაღებს მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, უახლესი აღჭურვილობით, მათ შორის ტანკებით. მამაცი საბჭოთა მეომრები ამ ტექნიკას სრულყოფილად ეუფლებიან, ფხიზლად დგანან საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე.

სურათზე: ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტანკისტები უფროსი ლეიტენანტები (მარცხნიდან მარჯვნივ) შავკატ სადიკოვი, ზურაბ ბოხუა და ალექსანდრე ივანოვი. მათი ეკიპაჟები ტანკისტთა დღეს შეხვდნენ სოციალისტური მაჩვენებლებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად

საქართველოს სსრ მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა რვა თვის გეგმა

რესპუბლიკური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით საქართველოს მრეწველობამ 104 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების რვა თვის გეგმა. გასული წლის შესაბამისი დონე გადაჭარბებულია 7,1 პროცენტით. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ 103,1 პროცენტით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების რვა თვის გეგმა. მისი პროდუქციის მოცულობა 5,6 პროცენტით გადიდდა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. ეს შეადგენს 375 მილიონ მანეთს. ფოლადის გამოშვება გადიდდა შესაბამისად 13,9 პროცენტით, სატვირთო ავტომობილებისა — 11,4 პროცენტით, ბაინაო ჩაისა — 2,4 პროცენტით. საქართველოს მეშახტეებმა 8 თვეში გეგმის გადამეტებით ამოიღეს 59 ათასი ტონა ქვანახშირი. (საქდესი).

საქართველოს სს რესპუბლიკამ ვადამდე შეასრულა პურის დამზადების წლიური გეგმა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვადამდე 101,3 პროცენტით შეასრულეს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა (გარდა სიმინდისა), აქედან ხორბლისა — 122 პროცენტით. გრძელდება პურის ჩაბარება ნატურანაზღაურების ანგარიშში მტს-ების მიერ ჩაბარებული ანგარიშების მიხედვით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მტკიცე საფუძველს უქმნიან მომავალ წელს უხვი მოსავლის მიღებას და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას, შარშანდელზე გაცილებით მეტ სილოსს ამზადებენ. 7 თვეში წარმოებულია 14 ათასი ტონით მეტი რძე, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში, შესაბამისად ასუქებენ 3-ჯერ მეტ ღორს და 8,5-ჯერ მეტ ფრინველს. სახელმწიფოს გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ჩაბარდა: რძე 10 ათასი ტონით მეტი, თესლოვანი და კურკოვანი ხილი 6 ათასი ტონით მეტი, ბოსტნეული 5 ათასი ტონით მეტი, დაფნის ფოთოლი 2,4-ჯერ მეტი. გადიდდა ხილის გაგზავნა მოსკოვში, ლენინგრადსა და საბჭოთა კავშირის სხვა სამრეწველო ცენტრებში.

რესპუბლიკის კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომლებსაც გაჩაღებული აქვთ ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი შეჯიბრება, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ მეცხოველეობის პროდუქტების, ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილისა და სხვა პროდუქტების წარმოების და სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმების შესრულება, აგრეთვე საშემოდგომო თესვისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დამთავრება.

მძიმეწონოსნები შრომითს ვახჭზე

მოახლოვდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის ზეიმის დღე და რესპუბლიკის მოწინავე საწარმოების მუშები კიდევ უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპს, რათა გადაჭარბებით შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები, ახალი მიღწევებით გაახარონ სამშობლო.

თავდადებული შრომის შედეგად თბილისის საორთქლმავლო დეპოს მძიმეწონოსნებმა განვლილ 8 თვეში ასობით მძიმე წონის მატარებლით ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 202.123 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. მოწინავე მემანქანეებმა ვ. გოზალოვმა 8 თვეში ნორმის გადამეტებით დანიშნულებისამებრ გადაზიდა 5.190 ტონა ტვირთი, ნ. პეტრენკომ — 4.240 ტონა, ასევეა მაჩვენებლებს მიაღწიეს მძიმეწონოსნებმა შ. ჭყონიძემ და გ. ქსოვრელმა.

ამჟამად ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან სექტემბერსა და ოქტომბერში მეტი მძიმე წონის მატარებლის გადაყვანასა და ნორმის გადამეტებით სახელმწიფო ტვირთების გადაზიდვაში.

სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული მტს-ი

ჩვენი ქვეყნის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს შორის გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოსაპოვებლად. შეჯამებულია მტს-ების კოლექტივების სრულიად საკავშირო შეჯიბრების შედეგები 1957 წლის იანვარ-აგვისტის მიხედვით.

საქართველოს მტს-ებიდან სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში გაიმარჯვა მახარაძის მტს-მა (დირექტორი ამხ. გიორგაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ზაქარიაძე, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. კვაჭანტირაძე). მტს-ს მიენიჭა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშებისა და მოსამსახურეების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია — 15.000 მანეთი.

წველადობის წლიური გეგმები შეასრულეს

ტყიბული. (საკ. კორ.). წველადობის გადიდებაში სახელი გაითქვა სოფელ მუხურის 26 კომლისრის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის მეძროხემ ნ. სახელაშვილმა. იგი 11 წელია მეცხოველეობაში მუშაობს და ყოველთვის კარგ შედეგებს აღწევს. ამჟამად ნ. სახელაშვილი 13 ძროხას უვლის. მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მან თვითეულ ძროხაზე უკვე 740 კილოგრამი რძე მიიღო და ამით წველადობის წლიური დავალება 105,7 პროცენტით გაანაღდა.

სოფელ ცუცხვათის კოლმეურნეობას 53 მეწველი ძროხა ჰყავს. აქ თავდადებით იბრძვიან წველადობის გასაადიდებლად. მოწინავე მწველავები გ. კუპრაშვილი და ტ. ამყოლაძე საუკეთესოდ უვლიან ძროხებს. წელს ერთ ძროხაზე უკვე მიღებული აქვთ თვითეულს 757 კილოგრამი რძე. წლიური დავალება კი 750 კილოგრამს ითვალისწინებს.

წველადობის წლიური დავალება აგრეთვე წარმატებით გაანაღდა ლეღვას საკოლმეურნეო ფერმამ. აქ საუკეთესო მიღწევები მოიპოვა მწველავმა ვ. ყავაძემ, რომელიც 10 ძროხას უვლის.

მოწინავე მწველავები ჩაბმული არიან დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში და იბრძვიან, რომ სამშობლოს წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მისცენ ათობით ცენტნერი რძე.

რძის წარმოება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში

1957 წლის 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით (კილოგრამობით ერთ ძროხაზე)

დაკავებული ადგილი	რაიონები	მოწველილია 1957 წ. 1/I-1/IX	1956 წ. 1/I-1/IX	+ მატება — კლება	რაიკომის მდივანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე
1.	ბათუმის	1567	1263	+ 304	ხ. ესაძე, ა. ანანიძე
2.	ბოგდანოვკის	1423	1055	+ 368	ხ. ტულჩინე, ვ. დურგარიანი
3.	წალკის	1358	1028	+ 330	ა. მაკაროვი, ლ. მელტონიანი
4.	დმანისის	1279	953	+ 326	მ. უფლიევი, ა. აგაევი
5.	ქობულეთის	1153	1171	— 18	ა. გოგიტიძე, ლ. წულუკიძე
6.	საგარეჯოს	1113	1024	+ 89	გ. ნადაშვილი, ხ. ფანოზიშვილი
7.	გურჯაანის	1096	863	+ 233	ა. დავითაშვილი, ვ. შავგულიძე
8.	ახალქალაქის	1056	755	+ 301	ა. ბლრციანი, გ. ბაბადასაროვი
9.	გარეუბნის	1039	1071	— 32	დ. გელაშვილი, ა. კორახაშვილი
10.	მცხეთის	992	818	+ 174	გ. სეხნიაშვილი, ზ. მირზიაშვილი
11.	ახპინძის	991	658	+ 333	ვ. კვავაძე, ლ. ისაკაძე
12.	თეთრი წყაროს	988	938	+ 50	მ. მაისურაძე, ი. ჩომახაშვილი
13.	წითელწყაროს	974	949	+ 25	ნ. ჯაკაბიძე, დ. ნატროშვილი
14.	მახარაძის	973	776	+ 197	შ. ჭანუყვაძე, დ. საბაშვილი
15.	ბორჯომის	949	690	+ 259	ჯ. ლომაშვილი, ა. მაისურაძე
16.	ბოლნისის	902	769	+ 133	შ. ქუტიძე, ა. მამედოვი
17.	სტალინირის	846	729	+ 117	ვ. სანაკოევი, გ. ჯუსოევი
18.	თელავის	830	805	+ 25	ა. ახათაშვილი, ა. ბატიაშვილი
19.	გორის	821	816	+ 5	ზ. თავზარაშვილი, ი. ტოლიაშვილი
20.	მარნეულის	820	787	+ 33	ნ. ჯიბლაძე, დ. მამედოვი
21.	ზნაურის	794	573	+ 221	ნ. ცხოვრებოვი, ი. ქოქოევი
22.	დუშეთის	786	738	+ 48	ვ. ბურდული, შ. მწითური
23.	მესტიის	773	682	+ 91	ხ. ჭკადუა, ხ. ჩარკვიანი
24.	ონის	763	645	+ 118	შ. რეხვიაშვილი, ბ. მინდელი
25.	გარდაბნის	760	780	— 20	გ. დევდარიანი, მ. ჰასანოვი
26.	ახალციხის	750	594	+ 156	კ. კაპანაძე, მ. ბაღათური
27.	ახმეტის	743	711	+ 32	ზ. უზუნაშვილი, გ. ბიძინაშვილი
28.	სიღნაღის	738	657	+ 81	ზ. ბიძინაშვილი, ი. მესხიშვილი
29.	ჯავის	732	685	+ 47	პ. ხარებოვი, ს. ჯიოევი
30.	გაგრის	731	646	+ 85	ა. კინწურაშვილი, ვ. მიხეილენკო
31.	ლენინგორის	701	590	+ 111	ი. უზნაძე, ა. დრიაევი
32.	თერჯოლის	725	668	+ 57	პ. სახეჩიძე, ი. შუღლაძე
33.	ქარელის	721	652	+ 69	ვ. გელაშვილი, ი. ნოზაძე
34.	თიანეთის	718	643	+ 75	დ. გონჯილაშვილი, ნ. მგელიაშვილი
35.	ადიგენის	711	580	+ 131	ა. ხვედელიანი, ლ. ოღლიშვილი
36.	ტყიბულის	701	467	+ 234	კ. ლომაძე, ი. გიორგობიანი
37.	კაჩრეთის	700	659	+ 41	ვ. რევაზიშვილი, ა. ასანიშვილი
38.	ლაგოდეხის	692	604	+ 88	პ. ბაქრაძე, ლ. ჩიკვაიძე
39.	ხაშურის	683	599	+ 84	დ. ქვლივიძე, მ. ჯიბუტი
40.	აბაშის	682	559	+ 123	მ. ბოკერია, ა. ჯღარკავა
41.	ორჯონიკიძის	678	660	+ 18	მ. სამხარაძე, ე. აბაშიძე
42.	ზუგდიდის	669	569	+ 100	მ. ღვინჯილია, ვ. ესართია
43.	ყვარლის	663	670	— 7	ა. ავაზაშვილი, მ. დავითაშვილი
44.	ჩოხატაურის	643	526	+ 117	ა. გომრონიძე, გ. მამალაძე
45.	კასპის	637	617	+ 20	გ. კეჩხუაშვილი, ა. ბასიაშვილი
46.	ხულოს	623	513	+ 110	ა. ქონიაძე, ხ. ბერიძე
47.	წყალტუბოს	616	620	— 4	ვ. ურუშაძე, გ. გაგოშიძე
48.	საჩხერის	612	614	— 2	ნ. კობახიძე, გ. ღვინიანიძე
49.	ცაგერის	610	594	+ 16	გ. ჩაჩხიანი, ვ. ჭაკვეტაძე
50.	სამტრედიის	608	541	+ 67	ნ. ფანცულაია, მ. ასათიანი
51.	ჭუთაისის	584	549	+ 35	მ. ბიბილაშვილი, ლ. ტაბიძე
52.	წალენჯიხის	575	461	+ 114	ვ. კვარაცხელია, ი. ზარანდია
53.	ყაზბეგის	564	547	+ 17	ა. შადური, პ. გოგიშვილი
54.	ლენტეხის	561	435	+ 126	ი. ხაბულიანი, კ. გაზდელიანი
55.	ოჩამჩირის	559	470	+ 89	ჩ. აბგაჯი, პ. სოსელია
56.	სოხუმის	554	490	+ 64	გ. ჭაჟია, პ. ცანავა
57.	ამბროლაურის	552	524	+ 28	შ. კახიძე, ვ. დავითულიანი
58.	ზესტაფონის	526	584	— 58	შ. ხიდაშელი, გ. არევაძე
59.	გეგეჭკორის	519	545	— 26	კ. ხუბულავა, გ. შეროზია
60.	ჭიათურის	517	516	+ 1	პ. აბესაძე, გ. ლომიძე
61.	ცხაკაიას	514	462	+ 52	ი. ურუშაძე, დ. ბაღათურია
62.	ვანის	501	426	+ 75	გ. ლილუაშვილი, ა. ლომინაძე
63.	ქედის	496	466	+ 30	ვ. კიკვაძე, ვ. ნაკაშიძე
64.	გალის	492	494	— 2	დ. გოგოხია, ხ. ტუფურია
65.	გულრიფშის	488	437	+ 51	ლ. ელეგჩიანი, შ. ბოკერია
66.	ლაჩრეთის	488	432	+ 56	დ. მანწყავა, მ. ვადაჭკორია
67.	შუახევის	475	432	+ 43	რ. სარაძე, ვ. წულუკიძე
68.	ხობის	474	428	+ 46	ა. წურწუმია, ხ. ნასარაია
69.	მაიაკოვსკის	472	483	— 11	ა. ტაბატაძე, კ. ჭოხონელიძე
70.	ჩხოროწყუს	455	406	+ 49	მ. ცანავა, შ. ხუნტუა
71.	გუდაუთის	429	334	+ 95	დ. ხვარცია, კ. გერია
72.	წულუკიძის	405	405		ხ. ლეკვაკა, მ. აბზიანიძე

ჩაის ფოთლის დამზადება

(„საქართველოს ჩაის“ ტრესტის 1957 წლის 6 სექტემბრის ცნობებით)

რაიონები	გეგმის შესრულება % -ობით წლიურისა	სექტემბრისა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით		სამტრედიის	70,1	5,6
				წულუკიძის	59,8	6,6
				ქუთაისის	69,1	5,5
				წყალტუბოს	87,9	6,2
				ტყიბულის	82,5	7,5
ბათუმის	92,3	25,3		ცხაკაიას	66,7	7,1
ქობულეთის	82,5	12,4		აბაშის	50,0	0,4
ქედის	89,0	10,2		გეგეჭკორის	83,2	15,0
სულ აჭარაში	85,0	14,2		ზუგდიდის	74,1	13,1
გალის	71,6	5,6		წალენჯიხის	90,7	15,5
ოჩამჩირის	78,5	3,3		ჩხოროწყუს	88,2	21,5
გულრიფშის	81,0	1,5		ხობის	84,4	14,3
სოხუმის	83,9	7,5		თერჯოლის	75,8	0,7
გუდაუთის	63,9	1,1		ზესტაფონის	58,0	—
სულ აფხაზეთში	73,6	4,2		ჭიათურის	98,3	2,5
მახარაძის	79,0	7,0		ვანის	109,0	—
ჩოხატაურის	74,9	0,8				
ლაჩრეთის	82,0	8,0		სულ საქ. სსრ-ში	79,1	8,6

ჩოხატაურისა და სამტრედიის რაიონების ცნობები არასრულია.

ჩაის კრეფაში დაწინაურებულნი

6 სექტემბერი

ხოგის რაიონი

ტუჩა კალანდიამ სოფელ ახალხიბულის კოლეგიის სახელობის კოლმეურნეობაში მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით დღიურ ნორმას 45 კილოგრამით გადაჭარბა. ამხ. კალანდიამ 0,4 ჰექტარზე წლიური გეგმით უნდა მოკრიფოს 1.400 კილოგრამი ნედლეული, უკვე მოკრიფა 3.177 კილოგრამი.

შურა მალანია მუშაობს ამავე სოფლის კოლმეურნეობაში, მოკრიფა 60 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, დღიური გეგმა კი 25 კილოგრამს ითვალისწინებს. სულ 0,3 ჰექტარზე მოკრეფილი აქვს 3.011 კილოგრამი წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.700 კილოგრამის ნაცვლად.

შურა კვირტია სოფელ ძველიხიბულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებს. სულ 0,3 ჰექტარზე მოკრეფილი აქვს 3.100 კილოგრამი ნედლეული და ამით წლიურ გეგმას 2.100 კილოგრამით გადაჭარბა.

ჯანკისჯის ღონისძიებანი მიძღვნილი საერთო საქალაქო კრება თბილისში

საქართველოს მშრომელები, ისევ როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ზეიმით აღნიშნავენ ტრადიციულ დღესასწაულს — ტანკისტის დღეს.

7 სექტემბერს თბილისში გაიმართა ტანკისტის დღისადმი მიძღვნილი საერთო საქალაქო საზეიმო კრება.

ოფიცერთა საოლქო სახლის პარკში მოვიდნენ საბჭოთა არმიის მეომრები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული, საზოგადოებრივი, პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საწარმოთა და მშენებლობათა მუშები.

საზეიმო კრება გახსნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ე. მელაძემ. კრების მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება ტანკისტის დღის შესახებ.

პარკში გაიხსნა ფოტოგამოფენა, რომელიც მოგვითხრობს საბჭოთა ჯავშანსატანკო ჯარების გმირულ ისტორიაზე.

საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართა კონცერტი სასაზღვრო ჯარების სამეღვრისა და ცეკვის ანსამბლის მონაწილეობით. (საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარები

გენერალ-მაიორი ბ. ყურაშვილი.

დღეს ჩვენი სამშობლოს მშრომელები და შეიარაღებული ძალები უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში აღნიშნავენ ტანკისტთა დღეს, რომელიც თერთმეტი წლის წინათ დაწესდა. ეს დღე ხალხის საყვარელ ტრადიციულ დღესასწაულად იქცა.

წელს ტანკისტთა დღე აღინიშნება ისეთ პირობებში, როცა ჩვენმა ხალხმა ახალ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია კომუნისტურ მშენებლობაში. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული ციფრები. სსრ კავშირში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვების წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით სამრეწველო პროდუქციის წარმოება გაიზარდა 10 პროცენტით.

ასრულებენ რა პარტიის XX ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ჩვენი ქვეყნის მშრომელები თავდადებით იბრძვიან სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალი მკვეთრი აღმავლობისათვის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებისათვის, იმისათვის, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, შეკვმნათ სამრეწველო და სასურსათო საქონლის სიუხვე.

ფართო ფრონტით წარმოებს ახალი საცხოვრებელი სახლების, ფაბრიკებისა და ქარხნების, ჰიდროელექტროსადგურების, შახტების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობა. ხდება ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების პრაქტიკაში ფართოდ ინერგება სახელმოხვეჭილ ოსტატთა — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილება. კიდევ უფრო მტკიცდება და იწრთობა სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა.

სულ უფრო ბედნიერი ხდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრება, მატულობს მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების შემოსავალი, იზრდება რეალური ხელფასი, უმჯობესდება მასების მატერიალური კეთილდღეობა.

დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში ჩაბმული ჩვენი ხალხი აშენებს კომუნიზმს, სამშვიდობო მიზნებისათვის იყენებს ატომის ენერგიას, აკეთებს ყველაფერს სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის. და ამ მშვიდობიანი შრომის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვრის სადარაჯოზე დგას მამაცი საბჭოთა არმია, რომლის რიგებში არიან გმირი ტანკისტები. ყველა სახეობის ჯარების პირადი შემადგენლობა ბეჯითად ეუფლება სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნას, დაუღალავად იუმჯობესებს საბრძოლო ოსტატობას.

სახელოვანია ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების — საბჭოთა არმიის მძლავრი დამრტყმელი ძალის საბრძოლო გზა. დიდებულია მისი ისტორია. ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოში პირველად შეიქმნა ტექნიკური წანამძღვრები ტანკების კონსტრუირებისათვის. 1911 წელს რუსმა კონსტრუქტორმა ვ. დ. მენდელეევმა შეიმუშავა ტანკის მსოფლიოში პირველი პროექტი, და მხოლოდ იმის გამო, რომ ამ საქმეს გულგრილად მოეკიდა მეფის ჩინოვნიკობა, რომელიც თაყვანს სცემდა ყოველივე უცხოურს და სძულდა ყოველივე სამამული, შეუძლებელი გახდა რუსეთის არმიის აღჭურვავად ტანკების წარმოების ორგანიზაცია.

მხოლოდ დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ დაიწყო სატანკო მრეწველობის განვითარება. 1919 წელს ვ. ი. ლენინის ინიციატივით სორმოვოს ქარხანაში მოეწყო ტანკების წარმოება. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, რაც დაკავშირებული იყო სამოქალაქო ომთან, ნგრევასთან, შიმშილთან, რუსეთის მუშათა კლასის სახელოვანმა წარმომადგენლებმა 1920 წლის 1 დეკემბერს იზეიმეს პირველი ტანკის გამოშვება. მას შემდეგ ჩვენს არმიაში ყველგან დაიწყეს ავტოსატანკო რაზმების დაკომპლექტება.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის ინდუსტრიის ზრდასთან ერთად ძალიცდებოდა სატანკო მრეწველობაც. სსრ კავშირის კონსტრუქტორებმა შექმნეს მსოფლიოში საუკეთესო საბრძოლო მანქანები.

საბჭოთა ხალხი მუდამ დიდებით მოიგონებს თავის ტანკისტებს, რომლებიც დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე ანადგურებდნენ მტრის ტექნიკასა და ცოცხალ ძალას. მოსკოვის მისადგომებთან ჩვენი სამშობლოს წმიდათა-წმიდა დედაქალაქის დაცვისას მამაცობითა და გმირობით თავი ისახელეს კატუკოვის მეოთხე სატანკო ბრიგადის მეომრებმა, რომლებმაც პირველად მიიღეს გვარდიელი ტანკისტების წოდება. მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩება საბრძოლო დიდების მატიანის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ფურცელი — სტალინგრადის ბრძოლა. აქაც თავგანწირვით იბრძოდნენ ტანკისტები. სხვა სახეობის ჯარებთან თანამოქმედებით მათ სწრაფი რეიდი მოაწყეს მტრის ზურგში, ალყა შემოარტყეს მოწინააღმდეგის ჯარებს და ხელი შეუწყეს 330-ათასიანი ფაშისტური არმიის ლიკვიდაციას. კურსკთან ბრძოლაში, მტრის ორიოლის, ბელგოროდ-ხარკოვის დაჯგუფებათა განადგურებაში დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა არმიის სატანკო და მექანიზებულმა ჯარებმა.

მტერზე ათივე შემმუსვრელ დარტყმაში, რომლებიც 1944 წელს განხორციელდა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს ტანკისტებმა. მათ გვიჩვენეს თავიანთი უნარი, წრთობა და გამძლეობა. მარტო კორსუნ-შევჩენკოვსკის, მინსკის, იასი-კიშინიოვის ოპერაციებში ჩვენმა ტანკისტებმა სხვა სახეობის ჯარებთან თანამოქმედებით ალყა შემოარტყეს და გაანადგურეს მოწინააღმდეგის 62 დივიზია. ბერლინისათვის ბრძოლაში მონაწილეობდა 6.300-ზე მეტი ტანკი, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფაშისტური ურდოების საბოლოოდ განადგურებაში. დიდებით მოსილმა საბჭოთა ტანკისტებმა თავიანთი ძლიერება გამოავლინეს ფაშისტური აგრესიის მეორე კერის ლიკვიდაციაში — იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ ომში. სატანკო ჯარებმა სწრაფი მარშით გადალახეს დიდი ხინგანის მთაგრეხილი, რომელიც მიუვალად ითვლებოდა, და ბრძოლებით განვლეს 500 კილომეტრზე მეტი მანძილი.

მეომრებთან ერთად მტერზე გამარჯვებას ჰედა უძლეველი საბჭოთა ზურგი. საწარმოები სულ უფრო მეტი რაოდენობით აწვდიდნენ ფრონტს საომარ ტექნიკას. სატანკო მრეწველობამ, რომელმაც ადგილი გადაინაცვლა აღმოსავლეთში, 1942 წლის ბოლოსთვის ომამდელთან შედარებით ერთიორად გაადიდა ტანკების წარმოება, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ ჰიტლერელების რიცხობრივი უპირატესობა ტანკების მხრივ საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს ტანკისტებისა და ტანკმშენებლების დამსახურებას. ათასობით მეომარი, მუშა, კონსტრუქტორი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. 1.142 ტანკისტმა დაიმსახურა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება, ხოლო 16 მათგანს ეს წოდება ორჯერ მიენიჭა. სატანკო მრეწველობის მთელ რიგ გამოჩენილ ორგანიზატორებსა და კონსტრუქტორებს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. გამოჩენილ ტანკისტებს შორის ბევრნი იყვნენ მზიური საქართველოს შვილები, რომლებმაც გაბედაობის, მხედრული უნარისა და საპრძოლო მამაცობის სასწაულები გვიჩვენეს.

საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში საბჭოთა კავშირის ფასდაუდებელი როლი განსაკუთრებული ძალით იჩენს თავს, დღეს, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების და მთელი რიგი სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების მმართველი წრეები გამალებულ შეიარაღებას ეწევიან, „მუქრებიან ატომური ომით, ყოველნაირად აღვივებენ ომის ფსიქოზს. საბჭოთა მთავრობა და ჩვენი სამშობლოს ხალხები დიდი შეუპოვრობითა და ენერგიით აჩაღებენ ბრძოლას იმისათვის, რომ აიკრძალოს ატომისა და წყალბადის იარაღი, შეწყდეს მისი გამოცდა, შეწყდეს გამალებული შეიარაღება, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება ხალხს, შემცირდეს შეიარაღება და შეიარაღებული ძალები, მოიხსნას სხვადასხვაგვარი დისკრიმინაციული ბარიერები და შეზღუდვები სახელმწიფოებს შორის ვაჭრობაში.

მეოთხედი საუკუნის განმავლობაში საბჭოთა კავშირი მარტო ეწეოდა ბრძოლას მშვიდობისათვის. ახლა მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. ამჟამად საბჭოთა კავშირის გარშემო დარაზმული არიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გიგანტური ძალები. არა მარტო სოციალისტური ბანაკის ქვეყნები, არამედ დიდი ჯგუფი მშვიდობისმოყვარე არასოციალისტური ქვეყნებისა ევროპაში, აზიაში, აფრიკაში იზიარებს და მხარს უჭერს მშვიდობის პოლიტიკის კეთილშობილურ პრინციპებს, რომლებსაც თანმიმდევრულად და შეუპოვრად ახორციელებს სსრ კავშირი.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა მსოფლიოს ხალხთა ღრმა პატივისცემითა და ნდობით სარგებლობს. „ცივი ომის“ სტრატეგების, საერთაშორისო დაძაბულობის გაშწვავების მომხრეების მუხანათური გეგმები ზედიზედ იფუშება ჩვენი სახელმწიფოს ბრძნული საგარეო პოლიტიკის მეოხებით.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა აღნიშნა, ანტიპარტიული ჯგუფის მონაწილენი — მალენკოვი, კაგანოვიჩი, მოლოტოვი და მათთან მიმხრობილი შეპილოვი, რომლებიც მოსწყდნენ ხალხს, პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებას, ყოველნაირად უშლიდნენ ხელს მოძწიფებული ახალი ლენინისეული ბრძოლების განხორციელებას, რომელთა მიზანი იყო საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება. გამთიშველთა და ფრაქციონერთა ეს მოქმედება გადაჭრით დაგმო მთელმა ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა. საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებმა, ისევე როგორც მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზეს თავიანთი რიგები მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ბრძნული ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშის ქვეშ.

ომისშემდგომი მშენებლობის წლებში ჩვენმა ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. არმია კიდევ უფრო სრულყოფილ საბრძოლო ტექნიკას იღებდა და იღებს. ამ ტექნიკას წარმატებით ეუფლებიან ჩვენი სახელოვანი საბჭოთა არმიის მეომრები, რომლებიც იფარებენ საბრძოლო ოსტატობას და ფხიზლად დგანან საბჭოთა ხალხის ინტერესთა სადარაჯოზე, სსრ კავშირის წმიდათა-წმიდა საზღვრების სადარაჯოზე.

მეტალურგიის მძლავრი განვითარება საბჭოთა კავშირში

პროპაგანდისტისა და აგიტატორის დასაფარავლად

მეფის რუსეთი საგრძნობლად ჩამორჩებოდა ევროპის ქვეყნებს მეტალურგიის, განსაკუთრებით შავი მეტალურგიის წარმოების საქმეში. მას ამ მხრივ ბევრად უსწრებდნენ წინ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი და სხვ. რუსეთს ევროპაში ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი ეჭირა ერთ სულ მოსახლეზე ფოლადისა და თუჯის წარმოების მხრივ. მასზე მოდიოდა თუჯის მსოფლიო წარმოების მხოლოდ — 5,6 პროცენტი და ფოლადისა — 6 პროცენტი, მაშინ როცა ჩვენს ქვეყანას ჰქონდა რკინის მადის უამრავი რესურსები, აგრეთვე სათბობის დიდი მარაგი, რაც აუცილებელია მეტალურგიისათვის. ლითონის საწარმოები უმთავრესად უცხოელ კაპიტალისტებს ეკუთვნოდათ.

1913 წელს სულ რუსეთის მეტალურგიული ქარხნები ადნობდნენ 4,2 მილიონ ტონა ფოლადს და ამდენსავე თუჯს, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატები 1913 წელს უშვებდნენ 31,8 მილიონ ტონა ფოლადს, 31,5 მილიონ ტონა თუჯს, ინგლისი 7,8 მილიონ ტონა ფოლადს და 10,4 ტონა თუჯს, საფრანგეთი — 6,9 მილიონ ტონა ფოლადს და 9,1 მილიონ ტონა თუჯს. ამ ციფრებიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად ჩამორჩებოდა რუსეთი განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს. ეს ჩამორჩენა კიდევ უფრო საგრძნობი იყო ერთ სულ მოსახლეზე წარმოების მხრივ.

ჯერ იმპერიალისტური, ხოლო შემდეგ სამოქალაქო ომის შედეგად დიდი ნგრევა და დაცემა განიცადა რუსეთის მეტალურგიამ. მაგალითად, 1920 წელს ჩვენში გამოდნობილი თუჯი 1913 წლის დონის მხოლოდ 2,7 პროცენტს უდრიდა, ფოლადი — 4,6 პროცენტს.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა ახორციელებდნენ რა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ლენინურ პოლიტიკას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ შავი მეტალურგიის წარმოების გაფართოებას, რაც მრეწველობის ყველა დარგის მძლავრი განვითარების საფუძველია. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი ზრუნვით, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის შედეგად პირველ ორ ხუთწლედში წარმოიშვნენ მეტალურგიული გიგანტები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიულ სიამაყეს წარმოადგენენ. არსებული საწარმოები კი გადაკეთდნენ, გაფართოვდნენ.

იქ, სადაც წინათ შიშველი და გადამწვარი ველი იყო, აღიმართა შავი მეტალურგიის გიგანტი მაგნიტოგორსკის მეტალურგიული ქარხანა, რომლის საამქროები მდინარე ურალის გაყოლებით გადაჭიმულია 25 კილომეტრზე. იგი ახლა თითქმის 1½-ჯერ მეტ თუჯს, ფოლადსა და ნაგლინს გვაძლევს, ვიდრე მთელი რუსეთის მეტალურგიული მრეწველობა იძლეოდა 1913 წელს. პირველ ორ ხუთწლედში უდაბურ ადგილას აშენდა მეორე დიდი გიგანტი ურალკუზნეცკის მეტალურგიული კომბინატი, რომელიც შავი ლითონის დიდძალ ნაწარმს აძლევს სამშობლოს. ამ პერიოდში აიგო და ამოქმედდა კრივოი როგის, ნოვოტულსკის, ჭერჩის, ნოვიტაგილის და ნოვოლიპეცკის მეტალურგიული ქარხნები, „ზაპოროჟსტალი“, „აზოვსტალი“, „ელექტროსტალი“, ფეროშენადნობთა ზესტაფონისა და ჩელიაბინსკის ქარხნები.

მრავალი მეტალურგიული ქარხნის ამოქმედების შედეგად 1940 წელს საბჭოთა კავშირში გამოდნობილ იქნა 15 მილიონი ტონა თუჯი, 18,3 მილიონი ტონა ფოლადი, წარმოებულ იქნა 13,1 მილიონი ტონა ნაგლინი. მესამე ხუთწლედის დასაწყისში მექანიზებული ბრძმედები გვაძლევდნენ მთელი წარმოებული თუჯის 60 პროცენტს. სრული რეკონსტრუქცია განიცადეს ფეროადი მეტალურგიის საწარმოებმა. საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ ომის წინ გასწრო ფოლადის, თუჯისა და ნაგლინის წარმოებაში ინგლისს, საფრანგეთს, გერმანიას და მსოფლიოში მეორე ადგილზე გამოვიდა. პირველ ადგილზე მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები იყვნენ.

ომის შემდეგ კიდევ უფრო სწრაფი ტემპებით ვითარდება ჩვენი მეტალურგია. მწყობრში ჩადგნენ მთელი რიგი ახალი მეტალურგიული ქარხნები, რომლებიც დღითიდღე ზრდიან ფოლადის, თუჯის, ნაგლინის წარმოებას. 1955 წელს ლითონის მსოფლიო წარმოებაში საბჭოთა კავშირის შავ მეტალურგიაზე მოდიოდა 17 პროცენტი. 1955 წელს 1940 წელთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე ფოლადის წარმოება გაიზარდა საბჭოთა კავშირში 138 პროცენტით, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 38 პროცენტით, ინგლისში — 43 პროცენტით. ამ წელს საბჭოთა კავშირმა იმდენი თუჯი გამოადნო, რამდენიც საფრანგეთმა, ინგლისმა, ბელგიამ, იტალიამ, ავსტრიამ, შვეიცარამ ერთად აღებულმა.

1956 წელს საბჭოთა კავშირში გამოდნობილი იყო 35,8 მილიონი ტონა თუჯი, 48,6 მილიონი ტონა ფოლადი, წარმოებული იყო 37,8 მილიონი ტონა ნაგლინი. ამრიგად, 1957 წლისათვის ჩვენი ქვეყანა აწარმოებდა 8,5-ჯერ მეტ თუჯს, 11-ჯერ მეტ ფოლადსა და ნაგლინს, ვიდრე 1913 წელს მეფის რუსეთი.

1956 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდნობილი იყო 104,3 მილიონი ტონა ფოლადი, 68,9 მილიონი ტონა თუჯი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 23,6 მილიონი ტონა ფოლადი და 17,4 მილიონი ტონა თუჯი, ინგლისში 21,0 მილიონი ტონა ფოლადი და 13,8 მილიონი ტონა თუჯი, საფრანგეთში 13,4 მილიონი ტონა ფოლადი და 11,5 მილიონი ტონა თუჯი.



ფოლადის, თუჯის, ნაგლინის წარმოება სსრ კავშირში (მილიონი ტონობით).

ფოლადის, თუჯისა და ნაგლინის წარმოებაში ჩვენ გვისწრებენ მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები, რომლესაც ყოველ ახალ ხუთწლედში თანდათან ვუახლოვდებით, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მალე დავეწევით. მაგალითად, საბჭოთა კავშირში თუჯისა და ფოლადის წარმოების აბსოლუტურმა მატებამ უკანასკნელ ხუთ წელში გადააჭარბა შესაბამის მაჩვენებლებს ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე ინგლისში, საფრანგეთში და დასავლეთ გერმანიაში ერთად. უკანასკნელ ხუთ წელში თუჯის გამოდნობის მატება საბჭოთა კავშირში უდრიდა 14 მილიონ ტონას, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 10,6 მილიონ ტონას, ინგლისში, საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში (ერთად) — 13 მილიონ ტონას.

ფოლადის გამოდნობის მატება კი საბჭოთა კავშირში შეადგენდა 18 მილიონ ტონას, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 17 მილიონ ტონას, ინგლისში, საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში (ერთად) — 16,7 მილიონ ტონას. ამრიგად, ჩვენ ფოლადისა და თუჯის გამოდნობის ტემპებით ვასწრებთ ამერიკას.

საბჭოთა კავშირში ყოველწლიური მატება უდრის 3 მილიონ ტონა თუჯს, 3,5 მილიონ ტონა ფოლადს, რაც თითქმის იმდენია, რასაც მთელი წლის განმავლობაში აწარმოებდა მეფის რუსეთი. პირველ ხუთწლედში კი ფოლადის ყოველწლიური მატება შეადგენდა 400 ათას ტონას, მეორე ხუთწლედში — 2.4 მილიონ ტონას, მეექვსე ხუთწლედში კი 4,6 მილიონ ტონა იქნება. ომამდელ ხუთწლედებში თუჯის გამოდნობის მატება შეადგენდა 11 მილიონ ტონას, მეექვსე ხუთწლედში კი 20 მილიონ ტონა იქნება.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს 1960 წლისათვის 1955 წელთან შედარებით თუჯის წარმოების გადიდებას 59 პროცენტით, ფოლადისა — 51 პროცენტით და ნაგლინისა — 52 პროცენტით. ეს ამოცანა წარმატებით ხორციელდება.

ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიული სიამაყე — რუსთავის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა ამჟამად ასეულ ათას ტონობით უშვებს ფოლადს, თუჯს, ნაგლინს. მეექვსე ხუთწლედში თუჯის გამოდნობა უნდა გადიდდეს 1,6-ჯერ, ნაგლინის წარმოება — 1,5-ჯერ და ა. შ. ამ ამოცანას რუსთავის მეტალურგები წარმატებით ახორციელებენ.

პარტიული ცხოვრება

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში

რუსთავის მეტალურგები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, აღფრთოვანებით ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისათვის. მათი როგორც ამ საყოველთაო სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორების ვალდებულებაა 7 ნოემბრისათვის გეგმის გადამეტებით გამოუშვან 1.200 ტონა მეტალურგიული კოქსი, 1.500 ტონა თუჯი, 3.500 ტონა ფოლადი, 4.000 ტონა მზა ნაგლინი, 750 ტონა ფოლადის ლილები.

გარდა ამისა, 7 ნოემბრისათვის მეტალურგებმა უნდა გასწიონ 3,5 მილიონი მანეთის ეკონომია, დაზოგონ 1.000 ტონა მაზუთი და 800 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაადიდონ 1,5 პროცენტით, რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით დაზოგონ 5 მილიონი მანეთი.

სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის გაცნობასა და მოწინავეთა შრომის მეთოდების გავრცელებაში თვალსაჩინო როლს ასრულებენ 500 კაცისაგან შემდგარი აგიტატორთა არმია, პროპაგანდისტთა ჯგუფი, მრავალტირაჟიანი გაზეთი „მეტალურგი“, სპეციალურად დაარსებული „ბიულეტენი დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ“ და „შრომის მოწინავე მეთოდების ბიულეტენი“.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია ყველა პირობას უქმნის სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებს ნაკისრ ვალდებულებათა გასანადღებლად.

კოქსქიმიური საამქროს კოლექტივმა განვლილ შვიდ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 2.472 ტონა კოქსი, რაც 1.272 ტონით აღემატება საოქტომბრო ვალდებულებას. თავი ისახელეს აგრეთვე მგლინავებმა, რომლებმაც გეგმის გადამეტებით ათასობით ტონა ნაგლინი მისცეს სამშობლოს. დაწინაურდნენ აგრეთვე ენერგეტიკოსები, მათ განვლილ შვიდ თვეში 100.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია და 200 ტონა საწვავი დაზოგეს.

ქარხნის მთელი კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგად საერთო პროდუქციის გამოშვების 7 თვის გეგმა 105,3 პროცენტით იქნა განაღდებული, ხოლო შრომის ნაყოფიერების დავალება გეგმასთან შედარებით 4,6 პროცენტით ამაღლდა, გაწეულია 7 მილიონამდე მანეთის ეკონომია. ასევე მაღალნაყოფიერად იმუშავეს მეტალურგებმა აგვისტოში. წარმატების მოპოვებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ქარხნის პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს ყოველდღიური კონტროლი აქვთ დაწესებული საოქტომბროდ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე.

მიმდინარე წლის ყველა თვესა და კვარტალში მუშაობის პირობები და შედეგები ერთნაირი როდი გვქონდა. იყო შემთხვევები, როცა ესა თუ ის საამქრო ჩამორჩებოდა. 15 თებერვალს მოვიწვიეთ ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელზეც განიხილეთ მეტალურგთა 1956 წლის მუშაობის შედეგები და 1957 წლის ამოცანები. კრებაზე მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ღრმა ანალიზი გაუკეთეს იანვარში საბრძმედე საამქროს ჩამორჩენის მიზეზებს. აქტივის კრებამ დასახა ქმედითი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებით საბრძმედე საამქრომ არა მარტო გამოასწორა ნაკლოვანებანი, არამედ პირველი კვარტალის მაჩვენებლების—მიხედვით მესამე ადგილი დაიკავა მგბრძმედეთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მარტში ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა შეისწავლა და განიხილა საკითხი მარტენის საამქროს აგიტკოლექტივის მუშაობის, შესახებ. გამოირკვა, რომ ცალკეული აგიტატორები საუბრებსა და ლექციებს ამზადებენ ფორმალურად, ანგარიშგაუწევლად ადგილობრივ პირობებისა, ამ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ამ საამქროში ბევრ ადგილობრივ ინჟინერ-ტექნიკოსს, ოსტატ-ბრიგადირს, ბრიგადებს, ბრიგადიერებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, ოსტატებს, ბრიგადირებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის შემდეგ

შაორის ქვანახშირის მაძიებლების გამარჯვება

შაორის ქვანახშირის საბადო ტყიბულის საბადოს გაგრძელებაა და საქართველოს საბადოებს შორის მეტად პერსპექტიულია. წინასწარი გაანგარიშებანი ცხადყოფენ, რომ მის ბაზაზე შესაძლებელია ქვანახშირის მოპოვება რესპუბლიკაში გავადიდოთ ერთიანუთად და კიდევ უფრო მეტად.

სანამ შაორის ველზე ტყიბულის საბადოს გაგრძელებას აღმოვაჩენდით, საბჭოთა გეოლოგების დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ საქართველოში ქვანახშირის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები შეზღუდული იყო.

ამ შვიდი წლის წინათ, როდესაც თბილისში კავკასიის ქვანახშირის საძიებო სპეციალური გეოლოგიური ტრესტი ჩამოყალიბდა და უნდა დაგვეწყო ღრმა ბურღვა, ერთ-ერთ მთავარ საძიებო ობიექტად, გეოლოგიური დაზვერვის ასპარეზად ავირჩიეთ შაორის ველი. მიუხედავად ზოგი გეოლოგის შეხედულებისა, რომ ჭაბურღილები აქ არაფერს მოგვცემდნენ, შრომა ფუჭად დაიკარგებოდა, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დახმარებით მაინც გავმართეთ ერთი ღრმა ჭაბურღილი, რომელმაც 1951 წელს ყველა გაგვახარა: ბურღმა სწორედ მოსალოდნელ სიღრმეზე გადაკვეთა ქვანახშირის მძლავრი ფენი, რამაც დაადასტურა ის შეხედულება, რომ ტყიბულის ქვანახშირის სქელი ფენები უწყვეტლივ მიიმართებოდნენ შაორის მიმართულებით და რომ უსაფუძვლო იყო ზოგი გამოჩენილი გეოლოგის „ავტორიტეტული“ შეხედულება საქართველოში ქვანახშირის მარაგის განსაზღვრულობის შესახებ.

ეს იყო დიდი აღმოჩენა, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. კავკასიის ქვანახშირის საძიებო გეოლოგიური ტრესტის გეოლოგების დიდი გამარჯვება იყო აგრეთვე ტყვარჩელისა და ახალციხის საბადოებში ქვანახშირის მარაგის გამორკვევა და დაზუსტება, ახალი საშახტო ველების კონტურების მოხაზვა.

პირველი მიღწევის შემდეგ შაორის ველზე, როგორც ტყიბულის საბადოს გაგრძელებაზე, ათობით ჭაბურღილი გავმართეთ. მათ წიაღის დიდ სიღრმეზე გახსნეს ქვანახშირის მძლავრი ახალი ფენები, რითაც საბოლოოდ დადასტურდა შაორის ველის დიდი პერსპექტივა ქვანახშირის შემცველობის თვალსაზრისით.

ამჟამადაც ჩვენი გეოლოგიური პარტიები თავდადებით მუშაობენ ახალი საშახტო ველების შემოსაფარგლავად, წიაღში ქვანახშირის ფენათა მიმართულებების გამოსარკვევად, ცალკე ფენათა სიმძლავრის დასადგენად და ა. შ. განსაკუთრებით პასუხსაგები ამოცანები აქვთ დაკისრებული ტყიბულისა და მუხურის გეოლოგიურ პარტიებს, რომლებმაც პირველ რიგში უნდა შეისწავლონ და მომავალი სამეურნეო წლის დასაწყისშივე შახტმშენებლებს გადასცენ ორი, რესპუბლიკაში ყველაზე მძლავრი, საშახტო ველი. ვინ უკეთესად შეასრულებს ამ დავალებას, ვინ უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწევს, ამაში ეჯიბრებიან ერთმანეთს ტყიბულისა და მუხურის გეოლოგიური პარტიები.

ამ პარტიებს მეტად რთულ გეოლოგიურ, გეოლოგიურ-მორფოლოგიურ და კლიმატურ პირობებში უხდებათ მუშაობა. ტყიბულის გეოლოგიურ პარტიას, რომელსაც ხელმძღვანელობენ პარტიის უფროსი დ. ვაჩნაძე, მთავარი ინჟინერი ა. ნემსადე, მთავარი გეოლოგი ს. ბრეგვაძე, საბჭოთა კავშირში პირველად უხდებათ ღრმა ჭაბურღილების ამოღება ე. წ. სვეტურად საბურღავი ხელსაწყოებით. ამ ხელსაწყოებით, საპროექტო გათვლის თანახმად, შეიძლება მიღწეულ იქნას 1.200 მეტრამდე სიღრმე. შაორზე კი საჭიროა ჭაბურღილის მეტი სიღრმე. ეს იყო იმის მიზეზი, რომ ტყიბულის და მუხურის გეოლოგიური პარტიები (უფროსი ი. კეკელიძე, მთავარი ინჟინერი დ. მელაძე, მთავარი გეოლოგი ნ. გუჯაბიძე) ღრმა ბურღვის გეგმას ვერ ასრულებდნენ.

მას შემდეგ, რაც მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნა განხორციელდა, ქვანახშირის ძიების საქმე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაეცა და ხელმძღვანელობა წარმოებას დაუახლოვდა, ქვანახშირის ძიებასთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტა გაადვილდა, გეოლოგიური პარტიების მუშაობაც გაუმჯობესდა.

ამის ერთ-ერთი შედეგია ის, რომ ტყიბულის გეოლოგიურმა პარტიამ აგვისტოში მნიშვნელოვანი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა, ღრმა ჭაბურღილის ამოღება 16 აგვისტოს დაამთავრა და ამით საოქტომბრო სოციალისტური ვალდებულება ვადამდე შეასრულა. ამ ჭაბურღილის გათხრით დაგვირგვინდა შაორის ველის ერთი მონაკვეთის წიაღში ქვანახშირის დიდი მარაგის დადგენა. დიდ წარმატებას მიაღწიეს მუხურელმა მაძიებლებმაც. მათაც საოქტომბროდ ნაკისრი ვალდებულებები გადაჭარბებით შეასრულეს.

ახალი საწარმოო გამარჯვების მოპოვებაში თავი გამოიჩინეს უფროსმა ცვლის ოსტატებმა — რ. გველესიანმა, ა. მურავიოვმა, ა. პრიდვოროვმა, ჯ. ჩიხლაძემ, გეოლოგებმა — ე. გიორგობიანმა, ნ. ლორიკმ, მ. გალდავამ, მბურღავებმა — კ. ნებულიშვილმა, ი. ხვიშჩუკმა, ს. შანიძემ, ტრაქტორისტებმა — ო. ნიკოლაიშვილმა, ვ. ჩერნოვიცკიმ, მეედელმა მ. ბოჭორიშვილმა, ხარატმა მ. ბახუტაშვილმა. მძღოლებმა ა. ქუმოკლიძემ, ლ. კობახიძემ და სხვებმა.

ი. გაძრაძე,
ქვანახშირის ძიების ტრესტის მმართველი.

აჭარის ასსრ. ლენინის სახელობის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით წელს ქვეყანას მისცენ ერთი მილიონი ცალი ციტრუსი. **სურათზე:** ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის მეციტრუსეები თ. ცინცაძე (მარჯვნივ) და მ. გლაზკოვა, — მანდარინის ნარგავებთან.

ფოტო ი. დვალისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ახალი ზოოვეტერინარული ტექნიკუმი

წალკა. (საკ. კორ.). გაიხსნა ზოოვეტერინარული ტექნიკუმი, რომელიც მომსახურებას გაუწევს წალკის, თეთრი წყაროს, დმანისის, ბოგდანოვკის და სხვა რაიონებს. იგი მოამზადებს უმცროს ზოოტექნიკოსებსა და ვეტფერშლებს. წელს I და III კურსზე მიიღეს 60 მოსწავლე, მათ შორის მრავალი ახალგაზრდა მეზობელი რაიონებიდან.

ტექნიკუმისათვის გამოყოფილია რაიონის ერთ-ერთი საუკეთესო შენობა. შეკეთდა საკლასო ოთახები, მოეწყო სასწავლო კაბინეტები და მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი. სასწავლებელი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით.

152 ათასი წიწილა

სამტრედია. (საკ. კორ.). წელს ნაყოფიერად იმუშავა სამტრედიის მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურმა. მიმდინარე სეზონში აქ 152 ათასი წიწილა გამოიყვანეს. ყოველი 100 კვერცხიდან მიიღეს 74,1 წიწილა გეგმით გათვალისწინებული 73-ს ნაცვლად.

საინკუბატორო სადგურმა სამტრედიის, წულუკიძის, აბაშისა და ვანის რაიონების კოლმეურნეობებს მიჰყიდა 60 ათასი წიწილა, ხოლო მოსახლეობას — 47 ათასი. წარსულ წლებთან განსხვავებით საინკუბატორო სადგურმა წელს კოლმეურნეობები დიდი რაოდენობით უზრუნველყო 20 დღის ასაკის წიწილებით. ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად კოლმეურნეობებში საგრძნობლად შემცირდა ფრინველის სიკვდილიანობა.

იოსებ ნოდეშვილი

მოსკოვში, ფესტივალ ქორწილი

ქორწილი

ფესტივალზე სოფიო იაშვილისა და ჯემალ კიკნაველიძის ქორწილს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო.

ჩაჰბერეს ზურნას, გახურდა დოლი,
შეიკრა წრე და აქუხდა ტაში.
შემოესია ყანწი და ბროლი
ქორწილის სუფრას გულუხვად გაშლილს.

გრგვინავს სიმღერა, ზანზარებს ჭერი,
შორს ბანს გვაძლევენ მინდორ-ველები.
მკვირცხლ ესპანელებს მაყრობა შვენით,
მეჯვრედ მოსულან ინდოელები.

ღვინომ შეჰმატა ყველას ხალისი,
ზანგი ფრანგს, ფრანგი ეგვიპტელს ჰკოცნის.
ქართველ ყმაწვილკაცს, ქართველ ქალიშვილს
მთელი მსოფლიო უმართავს ქორწილს.

ფიალა გვაყრის ლალისფერ შხეფებს,
ჩარდაში მოსდევს ქართულ განდაგანს.
ქვეყნად რომელი შაჰი თუ მეფე
არ ინატრებდა ქორწილს ამდაგვარს.

შვენის დედოფალს სტავრა და ფარჩა,
ჩანს თეთრ კაბაში ფერნამკრთალები.
დაესიზმრება ეჰ, რამდენ ვაქკაცს
მისი ღიმილი, მისი თვალები.

ქალი მზეს, ვაჟი მთვარეს ადარეს,
ორივ ერთურთზე უკეთესია.
ქართულად ხმლებქვეშ გამოატარეს,
თეფშიც გატეხეს, როგორც წესია.

გადმოაყარეს სუფრას ცოცხალი,
შემოაფრინეს წყვილად მტრედები.
ყანწით დალოცა ყველამ ცოლ-ქმარი
და საქართველო — ტურფა ედემი.

რამდენ უცხოელს გული წარსტაცა
ნაზმა კრებულმა ქართველ ქალების.
თქვეს: საქართველო მართლაც ლამაზთა
მხარე ყოფილა შეუდარები.

თურქი არასდროს მსმელი არ იყო,
ვაგლახ, რამდენი ღვინო დალია.
ამბობს: თუ წავწყმდი, ყველამ გაიგოს
გურჯი ქალების თვალთა ბრალია.

ღვინომ გაუხსნათ ბასკებს გუნება,
ცეკვით ატეხეს აურზაური.
ჩვენი სიმღერა ეცნაურებათ,
ახლობელია, ნათესაური.

თამადამ დიდი ყანწი ინდომა
(ამ სადღეგრძელოს ყველა ელოდა),
გაუმარჯოსო ქვეყნად მშვიდობას
და მეგობრობის უძლეველობას.

ამინ!—ასრულდეს სიტყვა თამადის,
შევხვდეთ მომავალს ალალ და-ძმებად.
ამინ! — იდიდოს ქვეყნად მარადის
ოჯახის შექმნა, აკვნის დარწევა.

როცა შენ ცეკვავ...

ნაიმას — ეგვიპტელ მოცეკვავე ქალს

როცა შენ ცეკვავ, მეხეთქება ცხელი ალმური,
ვეღარ მიფონებს მაგ წამწამთა უცხო მარაო.
შენი ღიმილი ცეცხლოვანი, ამორძალულ
მონას აქცევდა ფარაონად, მონად—ფარაონს.
შენს დიდ თვალებში დასაბამით ჩადგნენ, ვინ იცის,
აღმოსავლეთის ვარსკვლავები მოკაშკაშენი.
შენი თვალებით ჯადოქრობენ, შენი თილისმით
ვეფხვთა მწურთვნელნი და გველების მოთამაშენი.
სამეფოთა ქროლვა და სფინქსები ძველი ეგვიპტის
შენს მიმოხვრაში, შენს ღიმილში ჩანან რაოდენ.
როცა შენ ცეკვავ, უდაბნოში ფრთას შლის ფენიქსი
და მუმიები სარკოფაგთა ახდას ლამობენ.
ექვნებს აყღერებ თუ ვარსკვლავებს ციდან იტაცებ,
ქარს ებრძვის პალმა თუ წერწეტა შენი წელია.
პაპირუსებზე და ხეოფსის პირამიდაზეც
ძველთა ქურუმთა ფსალმუნები შენთვის სწერია.

როცა შენ ცეკვავ, მედიდურად მოჰქუხს სუეცი,
როცა შენ ცეკვავ, ციისარტყელებს გვაყრის ქაირო.
როგორც ნილოსი, გზას მოიკვლევ მხურვალ გულებში,
რომ სიყვარულით აგვამღერო, აგვაყვავილო.
ეგვიპტეს ქართველ მამელუკთა ხმალი უქია,
ბევრი მათგანის მაჯისცემა თქვენთან დასრულდა.
იქნებ შენ მათი შორეული თვალთა შუქი ხარ,
მაშ რად მაგონებ საქართველოს ლამაზ ასულთა.
ხან მირაჟი ხარ უდაბნოში დაკარგულისა,
ხან ცოთმილი ხარ, ბედის ცაზე ბრწყინავ ფაქიზად.
განა ცეკვაა?.. ლოცვა არის სიყვარულისა,
ქებათაქება სიცოცხლის და სილამაზისა.
ნილოსის ლოტოსს, მწვანე პალმას უკვდავებისაკ
ვეღარ დააჭკნობს, ქარიშხალი ვეღარ ამოთხრავს.
განა ცეკვაა?.. ჰიმნი არის განახლებისა,
თავისუფალი, ეგვიპტური სულის ამბოხი.

შეხვედრა

ფესტივალზე შეეხვდი ინდოელ მეგობრებს, რომლებიც წელს ინდოეთში მოგზაურობისას გაიცანი.

იანვრის ცხრამეტი. მზე გვწვავდა ბრიალა.
მივდევდით გზაშარას კალკუტის მახლობლად.
და თუმცა თქვენც ზამთარს ეძახით იანვარს,
ინდური ზამთარი სიცხისგან გვახრჩობდა.
მე წყალი მინდოდა, თქვენ ფანს რომ ეძახით,
და აი, ქოხის წინ შემოგხვდი პირმცინარს,
მითხარი: მობრძანდი, არა მაქვს ვენახი,
ღვინოს ვერ მოგართმევ, თქვენში რომ იციან.
გასტეხე ქოქოსის ვეება კაკალი
და გამომიწოდე, ვით ღვინის ფიალა.
წყურვილი მომიკლა იმ წვენმა კამკამამ,
დასიცხულს ათასი ხე მომიშრიალა.
დავლიე, განგესის სიგრილე ვიგრძენი,
დავლიე, დამადგა თქვენი ცის ნათელი
და ერთმა ქოქოსმა გაგვხადა ვით ძმები,
ძმებივით გაგვხადა ინდო და ქართველი.
დავლიე, ოცნებამ ფრთა გამაკრა ანაზდად:
მე როდის მომიწევს მასპინძლად დახვედრა...
და აჰა, ასრულდა... მთა მთას კი არადა,
კაცი კაცს ნამდვილად შეხვდება ამ ქვეყნად.
მოსკოვში შემოგხვდით ფრანგთა თუ ინდოთა,
შემოგხვდით იქ, სადაც ჩანს ხალხი ნაკადად.
გვირგვინი მიგქონდათ, შეგემკოთ გინდოდათ
ლენინის, სტალინის დიადი აკლდამა.
მოსულხარ, ღიმილი გიელავს თვალებში,
შენც გინდა შენი ხმა სამყაროს მოჰფინო.
მოსულხარ, თაგორის ენაზეც ჩაგვესმის:
ძმობა და მშვიდობა! მშვიდობა მსოფლიოს!
ალალ ძმად გიცანი, ალალ ძმად მიგულე,
დე ხიდი ძმობისა ჩვენც საქმით ვაშენოთ.
ვამაყობ, მოსკოვში კრემლთან რომ გიყურებ,
წამოდი, თბილისის ბურჯებიც გაჩვენო.
გავხედოთ ველ-მინდვრებს ყაზბეგის კალთიდან,
ვიხილოთ მესხეთის ბაღები შრიალა,
წავიდეთ, დავლოცოთ ველები ქართლისა
და გორის ციხესთან ავწიოთ ფიალა.
ნიავი შავი ზღვის სიგრილეს მოგვაფენს,
ვიხილოთ მწვერვალზე მიკრული სახლები.
რა ვითხრა, ქოქოსის ნაყოფს ვერ მოგართმევ,
ღვინით კი, იცოცხლე, ქართულად დაგხვდები.

განა დამთავრდა?..

განა დამთავრდა?.. ახლა იწყება...
კვლავ ჩვენს ხმას ელის მთელი სამყარო.
მოსკოვს ნათქვამი ძმობის დიდება
ყველას ვაცნობოთ, ყველას ვახაროთ.
ახალგაზრდობა — ბურჯი ხვალისა...
ვერ მოგვერევა მტერი ვერანი.
მზემ შეგვიცვალოს ფერი კანისა,
ვერ შეგვიცვალოს გული ვერავინ.
ჩვენი გუგუნი კი არ მიწყდება,
უფრო იქუხებს, როგორც ზღვაური.
განა დამთავრდა?.. ახლა იწყება
მშვიდობის დიდი დღესასწაული.

მოსკოვი — თბილისი, 1957 წ.

კრიტიკა და გიგლიოგრაფია

მწერლობის მაღალი იდეურობისა და მხატვრულობისათვის

(ჟურნალ „ცისკრის“ I და II ნომრების გამოსვლის გამო)

ორი ახალი ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის „ცისკრისა“ და „ლიტერატურნაია გრუზიას“ დაარსება დიდი მოვლენაა საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. ეს კიდევ ერთი მკაფიო გამოხატულებაა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს იმ დიდი მზრუნველობისა, რომლითაც მუდმივად გარემოსილია ჩვენი ლიტერატურა, როგორც ხალხის იდეური აღზრდისა და სულიერი შეიარაღების მძლავრი საშუალება.

უაღრესად საპატიო და კეთილშობილური ამოცანები ეკისრება, კერძოდ, ჟურნალ „ცისკარს“. იგი საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის გამგეობის საერთო ორგანოა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალი უნდა ითვალისწინებდეს და უპასუხებდეს ჩვენი ახალგაზრდობის სულიერ ინტერესებსა და მოთხოვნებს, თავის ფურცლებზე ასახავდეს ახალგაზრდა თაობის მჩქეფარე, შინაარსიან ცხოვრებას, მხატვრული სიტყვის საშუალებით ემსახურებოდეს მისი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას, იდეურ და ზნეობრივ წრთობას, გემოვნების განვითარებას. ამასთანავე ამ ჟურნალის ერთ-ერთი ძირითადი მოწოდება იმაში მდგომარეობს, რომ თავის გარშემო შემოიკრიბოს ჩვენი ნიჭიერი ლიტერატურული ახალგაზრდობა და უხელმძღვანელოს მის სწორ იდეურ შემოქმედებით აღზრდას.

სავსებით ბუნებრივია ის ცხოველი ინტერესი, რომელიც „ცისკრის“ პირველი ორი ნომრის გამოსვლამ გამოიწვია ჩვენს სამწერლო საზოგადოებრიობასა და მკითხველთა ფართო წრეებში. უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალის სარედაქციო კოლეგია და რედაქციის მუშაკთა კოლექტივი, რომელიც უპირატესად ახალგაზრდა ლიტერატორებისაგან შედგება, ენთუზიაზმით და გატაცებით შესდგომია მუშაობას. აშკარად იგრძნობა რედაქციის მისწრაფება, რომ ჟურნალი მრავალფეროვანი, ცოცხალი და მიმზიდველი იყოს. საქმისადმი სიყვარულის, შთაგონებული შრომის უეჭველი ნიშნით არის აღბეჭდილი ჟურნალის გარეგანი სახეც, მისი ტექნიკურ-პოლიგრაფიული გაფორმებაც, მასალების განლაგებაც. ჟურნალის პირველსავე ნომრები ვხედავთ პოეზიისა და პროზის ნაწარმოებებს, მხატვრულ ნარკვევებს, წერილებს პოეტიკისა და ესთეტიკის საკითხებზე, ლიტერატურულ რეპორტაჟსა და ინფორმაციას, უცხოეთის კულტურული ცხოვრების ქრონიკას, სატირისა და იუმორის ნიმუშებს. ჟურნალში შემოღებულია განყოფილება „მწერლის არქივიდან“. პირველ ნომერში აქ წარმოდგენილია დიდი ქართველი პროზაიკოსის მიხეილ ჯავახიშვილის გამოუქვეყნებელი მოთხრობა „მიწის ყივილი“. ამ მრავალფეროვნებას ერთვის ტექტის მხატვრული ილუსტრაცია — ნახატები, მეგობრული შარჟები, კარიკატურები.

მოსაწონია, რომ „ცისკრის“ პირველსავე ნომრებში ერთობლივად გამოდიან თანამედროვე ქართული მწერლობის სახელმოხვეჭილი ოსტატებიც და ლიტერატურული ახალგაზრდობის საიმედო წარმომადგენლებიც. პირველ ნომერში მოთავსებულია მხატვრული ლიტერატურის რამდენიმე საყურადღებო ნაწარმოები. მათ შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ გ. ნატროშვილის მოთხრობა „ზაქროს ბიჭი“, გ. ლეონიძისა და ს. ჩიქოვანის სატირული ლექსები, ი. აბაშიძის „ინდოეთის გზებზე“, რ. ბერნსის ლექსების საუცხოო თარგმანი, შესრულებული თ. ერისთავის მიერ და სხვ.

ასევე საყურადღებო ნაწარმოებებია გამოქვეყნებული ჟურნალის მეორე ნომერში, მაგალითად, შალვა დადიანის მემუარული თხზულება „რაც გამახსენდა“, ე. ყიფიანის საბავშვო მოთხრობა „ათფურცლიან რვეულში“, ი. იედლიჩკას „ზოზოვავეული შთაბეჭდილებანი“, გ. ქიქოძის „ლადო ბედიაშვილი“, ი. ციციშვილის „რასაც ყოველდღიურად ხედავს თვალი“ და სხვ.

ჟურნალის ეს თვალსაჩინო ღირსებანი ხაზგასმით უნდა იქნას აღნიშნული და წახალისებული. მაგრამ ჟურნალის პირველ ნომრებში ყურადღებას იქცევს სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც აგრეთვე მთელი სიცხადით უნდა იქნას გათვალისწინებული, რათა ჟურნალის მომდევნო ნომრებში აუცილებლად დაძლეულ იქნას.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პოეტურ და ბელეტრისტულ ნაწარმოებთა დიდი ნაწილი მოკლებულია თანამედროვეობის გრძნობას, საზოგადოებრივ აქტუალობას, იდეურ მიზანდასახულობას.

ჟურნალის პირველ ნომერში მოთავსებული ლექსებიდან მხოლოდ ორი ეხებაურება თანამედროვეობის მოვლენებს, ჩვენი ხალხის მაღალ იდეურ მისწრაფებებს. ესენია — მ. ლებანიძის „ახალგაზრდობა“, რომელშიც ჩვენი ახალგაზრდობის მაღალი ინტერნაციონალისტური შეგნება, მსოფლიოს ხალხთა ძმობისა და მეგობრობის კეთილშობილური იდეა განსახიერებული, და ა. სალუქვაძის „ლენინის ძეგლთან“, რომელშიც გამოხატულია საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული და მადლიერება დიდი ლენინისადმი. უნდა ითქვას, რომ ამ ლექსებში მხატვრული ოსტატობა და მკითხველზე ემოციური ზემოქმედების ძალა დიდად ჩამოუვარდებიან მათი შინაარსის იდეურ-თემატიკურ სიღრმესა და მნიშვნელობას. დანარჩენი ლექსების და კერძოდ ახალგაზრდა პოეტების ლექსებს უმრავლესობა კი პირად-ინტიმური განცდებისა და განწყობილებების რკალშია მოქცეული.

ათი ლექსით არის წარმოდგენილი „ცისკრის“ პირველ ნომერში ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი თამაზ ჭილაძე. მეტად მცირეა ამ ლექსების მოქალაქეობრივი პათოსი, იდეური ღელვა; სამწუხაროდ, პოეტი ხელოვნურად ზღუდავს და აღარიბებს თავის შემოქმედების ნიჭიერებას და შესაძლებლობებს. მის მიერ დახატული ფსიქოლოგიური პეიზაჟები და ბუნების სურათები უფრო ლიტერატურულ რემინისცენციებს შეიცავენ, ვიდრე ჩვენი ახალგაზრდობის სულიერი ცხოვრების ტიპიურ მოვლენათა ცოცხალ და გულის სიღრმეში ჩაწვდომ გამოხატულებას. რა საერთო აქვს ჩვენი დროის ახალგაზრდა ადამიანის დამახასიათებელ განცდებთან და გრძნობებთან, მაგალითად, ასეთ ბუნდოვან სტრიქონებს:

„მგონია წვიმით ჩამოძენძილი,
ქარით ნაცემი ღამის მეხრე ვარ...
მეცოდებიან მთები ძმებივით
და მათი წილი ქარი მეხლება...“

ან რა იდეურ-ესთეტიკური ღირებულება აქვს ჩვენთვის მოდერნისტული პოეზიის აშკარა გავლენით დაწერილ ასეთ ლექსს:

„სულ ერთმა ჭიქამ, სულ ერთმა ჭიქამ
დამათრო ასე და... მომაგონდი.
აღარსად სჩანდი,
აღარსად იყავ...
სულ ერთმა ჭიქამ დამათრო ასე“.

პოეტ ა. სალუქვაძის ლექსების უმრავლესობა რევოლუციამდელი სატრფიალო ლირიკის დაშტამპული ტრადიციების ისეთი გადმოღერებაა, სადაც დაკარგულია ბზრის სიცხადე, პოეტური ფრაზის ლოგიკურობა.

„შენ სხვა ხარ,
შენდარი ვინ არი...
შენ ზღვა ხარ,
შენნა ხარ მდინარე,
ცისფერი მდინარე,
იასამნის მდინარე,
იასამანი სულია ჩემი,
შენ ხარ სული ჩემი —
იასამანი...“

მეორე უსათაურო ლექსში ახალგაზრდა პოეტი წერს:

„რა ბნელი ბინა,
გარეთ თოვლი საოცრად ბევრი...
ნაძვებს ეძინებ თოვლში თვლები...
როცა წახველი, შენ აქ დაგრჩა
ხელთათმანები
და... არაფერი“.

მოყვანილი მაგალითები ნათლად გვიჩვენებენ, რომ „ცისკრის“ თანამშრომელი ზოგიერთი ახალგაზრდა პოეტი მოდერნისტული პოეზიის დაგვიანებულ ეპიგონად გვევლინება.

უკეთეს შთაბეჭდილებას ვერც მხატვრული პროზის განყოფილება ტოვებს.

მოთხრობაში „სიყვარული მარტის თვეში“ დამწყები პროზაიკოსი გურამ რჩეულიშვილი მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გადაჭრა ტრაქტორისტმა ფეხი სატრფოზე ფიქრით გაოგნებულ ნოდარ ჯანდიერს და შემდეგ მწვავე ტკივილით შეწუხებული ნოდარი როგორ ბოდავს, რომ „ეშმაკიტება სად არის, არავინ იცის, ხოლო მსგავსებით იგი კეფასა ჰგავს, რომელიც ვიცით სად არის, მაგრამ ვერასოდეს დავინახავთ“. მეორე ნაწარმოებში „ნელი ტანგო“ იგივე ავტორი გვიამბობს, თუ როგორ დაიღუპა დასახრჩობად განწირული შვილისა და ცოლის გადასარჩენად მღელვარე ზღვაში შეცურებული ხარკოველი ვაქაცი. ამ ამბის დამსწრე ქართველი ქალ-ვაჟი იმავე ღამოს სოხუმის კაფე-რესტორანში ნელი ტანგოს ცეკვის დროს საოცარი გულგრილობით საუბრობენ ამ უბედური შემთხვევის შესახებ. გოგონა იმ აზრისაა, რომ ასეთი ვაქაცები ახლა ცოტანი არიან. ვაჟი კი უპასუხებს: „მაგრამ მენდეთ, მაინც არიან“. ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ამ ქალ-ვაჟის ქცევა და მათი საუბარი არავითარ შემთხვევაში არ არის დამახასიათებელი ჩვენი ახალგაზრდობის მორალური სახისათვის, მათი აზრებისა და რწმენისათვის. საბჭოთა სინამდვილისა და ჩვენი დროის ბმირის ხასიათის გამოხატვის თვალსაზრისით კიდევ უფრო უმნიშვნელო ამბავი მოთხრობილი ამავე ავტორის ნოველაში „სათაგური“.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გ. რჩეულიშვილი მხატვრულ ნიჭიერებას მოკლებული ავტორი როდია. მას აქვს სტილის გრძნობაც, აღწერილობისა და მომთხრობელობის უნარიც, განწყობილებათა გადმოცემის ძალაც. და მით უფრო სამწუხაროა, რომ ისეთი მონაცემები ხმარდება წვრილმან და უმნიშვნელო ამბავთა აღწერას. საოცარია, რომ ახალგაზრდა ბელეტრისტის ყურადღება ვერ მიუბყრია ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრებას, მისი შრომის, სწავლის, აზროვნების, შემოქმედების ვერც ერთ ისეთ მომენტს, რომელშიც მკაფიოდ გამოვლინდება ჩვენი დროის გმირის სულიერი ძალა და მშვენება.

გ. რჩეულიშვილისაგან დიდად არ განსხვავდება მეორე დამწყები ბელეტრისტი გურამ გეგეშიძე. მის „მოთხრობაში „სანამ ერთად ვართ“ მთავარ გმირად გამოყვანილია ახალგაზრდა კაცი გიგი. ზღვაში ბანაობისას მან მეტად შორს გასცურა, ნაპირისაკენ გამობრუნება ვეღარ შეძლო და დახრჩობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. იგი გადაარჩინეს პლაჟზე მყოფმა მეგობრებმა. სიკვდილს გადარჩენილი გიგი ასეთ ფიქრებს მოუცავს: „რა იქნებოდა, რომ დამხრჩვალიყო. არაფერი არ იქნებოდა, იქნებოდა ასეთივე მოღრუბლული ამინდი, ასევე უწესრიგოდ მიმობნეული ტახტები პლიაჟზე. სილა იქნებოდა ცხელი, როგორც ეხლა, მატარებელი გიგივლიდა ლანდაგზე ჩვეულებრივად და ცნობისმოყვარე მგზავრები გამოჰყოფდნენ თავს ფანჯრებში. მხოლოდ ყოველივე ამას ვერ ნახავდა და ვერ იგრძნობდა გიგი“... საოცარია, რომ ჩვენი დროის ახალგაზრდა კაცი ასე გულგრილად და გულუბრყვილოდ მსჯელობდეს სიცოცხლის აზრსა და მნიშვნელობაზე.

ამრიგად, ჟურნალში გამოქვეყნებული მთელი რიგი პოეტური და ბელეტრისტული ნაწარმოები მიზნად არ ისახავენ ჩვენი დროის მოწინავე ადამიანის სულიერი სამყაროს დამახასიათებელ თვისებათა გამოხატვას, თანამედროვე ცხოვრების ტიპიურ მოვლენათა ასახვას, რაც სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის უპირველეს დანიშნულებას და მოწოდებას წარმოადგენს.

ჟურნალის პირველი ნომრის ლიტერატურული კრიტიკისა და თეორიის განყოფილებაში ყურადღებას იქცევს გურამ ასათიანის წერილი „შენიშვნები თანამედროვე ქართული პოეტიკის შესახებ“. გ. ასათიანი ახალგაზრდა კრიტიკოსია, რომლის არაერთმა წერილმა კანონიერი მოწონება დაიმსახურა. ამ წერილშიც იგი ნიჭიერ და ერუდირებულ ახალგაზრდა ლიტერატორად გვეცნობება. ავტორს მიზნად დაუსახავს შეისწავლოს და გაარკვიოს ის სიახლენი, რომლებიც თანამედროვე ქართული პოეზია ამდიდრებს ჩვენი ეროვნული პოეტური კულტურის მრავალსაუკუნოვან საგანძურს. უნდა ითქვას, რომ მისი არაერთი დაკვირვება და დასკვნა უეჭველად საყურადღებო და ინგარიშგასაწევია. ასეთია, მაგალითად, ავტორის შეხედულებანი იმ სიახლეთა შესახებ, რომლებიც ახასიათებს თანამედროვე პოეზიას რიტმიკისა და ინტონაციის სფეროში, პოეტური ფერწერის, სახეობრივი აზროვნების, ენისა და სტილის, საერთოდ ლექსის გარეგანი ტექნიკისა და „შინაგანი ფორმის“ დარგში.

მაგრამ ამ ცალკეულ გონებამახვილურ დაკვირვებათა განზოგადოებისას ავტორი აშკარად მცდარ და უმართებულო დასკვნებამდე მიდის. მისი მთავარი შეცდომა ის არის, რომ პოეტური კულტურის განვითარება მას წარმოუდგენია იმანენტურ, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებისაგან მოწყვეტილ, გამოთიშულ პროცესად. ჩვენი ეპოქის ახალი პოეტური კულტურის აღმოცენებას გ. ასათიანი ხსნის არა იმ ღრმა ძვრებით და ცვლილებებით, რომლებიც მოხდა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში და, მაშასადამე, ჩვენი ხალხის იდეურ ცხოვრებაში, არამედ იმით, რომ თითქოს ჩვენი საუკუნის დამდეგისათვის უკვე ამოწურული იყო XIX საუკუნის კლასიკური ქართული ლექსის შესაძლებლობანი და ამას გამოეწვიოს პოეტური მეტყველების განახლების აუცილებლობა.

ამ აშკარად მცდარი თვალსაზრისიდან რომ გამოდის, ავტორი თანამედროვე ქართული პოეზიის ძირითად თვისებათა აღმოცენებას მიაწერს არა საბჭოთა ეპოქას, არამედ... რეაქციის წლებს. „XX საუკუნის დასაწყისში ქართულ პოეზიაში მოხდა ნამდვილი გადატრიალება, რომლის შედეგადაც იგი აყვანილ იქნა განვითარების ახალ საფეხურზე“, — წერს გ. ასათიანი და გულისხმობს რეაქციის წლებში ჩვენს პოეზიაში ანტირეალისტურ მიმართულებათა აღმოცენება-გავრცელებას. ავტორი კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ დებულებას: „ქართული ლექსის რეფორმაცია დაიწყო სწორედ იმ დროს, როდესაც ავადმყოფი ვაჟა-ფშაველა სიკვდილს ებრძოდა თბილისის ერთ-ერთ ლაზარეთში“. როგორც ვიცით, იმ დროს ქართული პოეზიის სარბიელზე გამოდიოდა „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი, და აი ეს მოვლენა მიაჩნია ჩ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი

სსრ კავშირსა და ბულგარეთს შორის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის კომისიის მეცხრე სესიის შესახებ

ამა წლის 5 სექტემბერს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეცხრე სესიამ.

სესიამ, რომელიც მიმდინარეობდა მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში, მიიღო გადაწყვეტილებანი, რომელთა მიზანია გაფართოვდეს ურთიერთობა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს შორის, აგრეთვე შემდგომ გაფართოვდეს სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა ორივე ქვეყანას შორის.

ხელმოწერილი ოქმის შესაბამისად საბჭოთა ორგანიზაციები ბულგარეთის ორგანიზაციებს გადასცემენ მუდმივი და ცვალებადი დენის წევის ქვესადგურთა მშენებლობის საპროექტო-ტექნიკურ დოკუმენტაციას, ერთფაზიანი ძალოვანი ტრანსფორმატორების, მუდმივი დენის გენერატორებისა და სხვა ელექტროტექნიკური მოწყობილობის ამუშაო ნახაზებს, მარტენის ღუმელებში ჟანგბადის გამოყენების, ალუმინისა და ალუმინიანი ბრინჯაოს ნახევრადგანუწყვეტელი სხმის წარმოების ტექნიკურ დოკუმენტაციას, გემების მშენებლობის ტექნოლოგიურ დოკუმენტაციას, ხორცკომბინატების მოწყობილობის დამზადების ნახაზებს, აგრეთვე სხვადასხვა საინფორმაციო-საცნობარო ტექნიკურ მასალებს.

გარდა ამისა, საბჭოთა ორგანიზაციები 1957 წელს ბულგარეთში გაგზავნიან თავიანთ სპეციალისტებს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, გემების მშენებლობის, რკინიგზათა ელექტრიფიკაციის საკითხებში ტექნიკური დახმარების გასაწევად და გააცნობენ თავიანთ საწარმოებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში ბულგარელ სპეციალისტებს ჰიდროტურბინებისა და ჰიდროგენერატორების კეთებას, სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების ორგანიზაციასა და ტექნოლოგიას, ცელულოზს, მინქაფის ტექნოლოგიას და სხვა საკითხებს.

ბულგარეთის ორგანიზაციები თავის მხრივ საბჭოთა კავშირის ორგანიზაციებს გადასცემენ თამბაქოს მრეწველობის ზოგიერთი სახეობათა მანქანების ტექნიკურ დოკუმენტაციას, საკონსერვო პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიურ დოკუმენტაციას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის ნიმუშებს, აგრეთვე თავიანთ საწარმოებში მიიღებენ საბჭოთა სპეციალისტებს და გააცნობენ მიღწევებს კვების პროდუქციის წარმოებისა და შენახვის დარგში.

ინგლისელი კოლონიზაჟორები მხეცურად უსწორდებიან იემენის მშვიდობიან მოსახლეობას

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი დამასკოდან იუწყება, სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სალაჰ ბითარმა დაადასტურა პრესის ცნობები, რომ იემენის იმამმა ახმედმა სირიის მთავრობას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ბრალად სდებს ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებს, რომ ისინი თავს ესხმიან შუქეირის რაიონს იემენში.

იმამის დეპეშაში, დასძინა მან, ნათქვამია, რომ ინგლისის თვითმფრინავებმა გამოიყენეს ნაპალმისა და ყმბიური ბომბები, რომელთა აფეთქების შემდეგ ადამიანებს ცხვირში სისხლისდენა ეწყებათ და კვდებიან.

როგორც პრესი იუწყება, იმამმა ინგლისელებს ბრალად დასდო, რომ ისინი დაწყებული 1 სექტემბრიდან ამ რაიონში ყრიან მომწამლავ გაზიან ბომბებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა, საბჭოსი, რომელმაც განიხილა მალაიის ფედერაციის მთავრობის თხოვნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მალაიის მიღების შესახებ. ამ თხოვნას მხარი დაუჭირეს ინგლისმა და ავსტრალიამ, რომლებმაც შეიტანეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მალაიის მიღების შესახებ რეზოლუციის პროექტი.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ა. სობოლევმა მხარი დაუჭირა რა მალაიის მთავრობის თხოვნის დაკმაყოფილებას, განაცხადა, რომ უკანასკნელ დრომდე მალაიის ხალხი კოლონიურ უღელქვეშ იყო და სულ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა ოფიციალურად მალაიის ფედერაციის დამოუკიდებლობა.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია, თქვა ა. სობოლევმა, მიესალმება მალაიელ ხალხს მისი ქვეყნის ისტორიაში ამ ღირსშესანიშნავ მოვლენასთან დაკავშირებით და შემდგომ მიღწევებს უსურვებს მას ეროვნულ განვითარებაში. ის გარემოება, რომ აზიის კონტინენტის კიდევ ერთმა სახელმწიფომ მიაღწია დამოუკიდებლობას, თავიანთი განთავისუფლებისათვის კოლონიური ხალხების შეუპოვარი ბრძოლის ახალი წარმატებაა. მალაიელი ხალხის წინაშე ახლა ფართო გზა დაისახა. ბრიტანეთის თანამეგობრობის ფარგლებში მალაიის ფედერაციის დამოუკიდებლობის გამოცხადება პირველი ნაბიჯია მისი როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, არსებობის გზაზე, და მალაიელი ხალხის წინაშე დიდი ამოცანები დგას სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის, მალაიის ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარებისა და სხვა სახელმწიფოებთან მეგობრული ურთიერთობის გაფართოებისათვის. უეჭველია, მალაიის ფედერაციის წევრობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხელს შეუწყობს ამ მიზნების მიღწევას. თავის მხრივ, მონაწილეობას მიიღებს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში, მალაიის ფედერაცია შეასძლებლობას მიიღებს შეიტანოს თავისი დიდმნიშვნელოვანი წვლილი მშვიდობის განმტკიცების და აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

ა. სობოლევმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია, იცავს რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპს, მხარს უჭერს მალაიის ფედერაციის თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ და ხმას მისცემს შეტანილ რეზოლუციის პროექტს.

კმაყოფილებით აღნიშნავს რა ფართო მხარდაჭერას, რასაც აზიის ამ ახალგაზრდა სახელმწიფოს განცხადებას უწევენ, განაგრძო ა. სობოლევმა, საბჭოთა დელეგაცია დუმილით ვერ აუვლის გვერდს იმ ფაქტს, რომ უშიშროების საბჭოს ზოგიერთი წევრის უარყოფითი პოზიციის შედეგად 10 წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში შლიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად აზიის მეორე სახელმწიფოს, სახელდობრ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების საკითხის გადაჭრას. ეს ფაქტი განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა დიდმა უმრავლესობამ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ გამოთქვა აზრი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპის სასარგებლოდ და ორგანიზაციაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების სასარგებლოდ.

საბჭოთა დელეგაცია იმედს გამოთქვამს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების საკითხი უახლოეს მომავალში გადაიჭრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპის პატივისცემის იმავე სულისკვეთებით, რომელსაც ამ სხდომაზე ეხედავთ.

დასასრულ ა. სობოლევმა საბჭოთა დელეგაციისა და ყველა საბჭოთა ადამიანის სახელით გულწრფელად უსურვა მალაიის მთავრობას წარმატებანი ეროვნული სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკისა და კულტურის განმტკიცებაში და განვითარებაში.

ინგლისის, ავსტრალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს მალაიის თხოვნას.

ერაყის წარმომადგენელი მიესალმა მალაიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას, რომელიც როგორც მან ხაზგასმით აღნიშნა, თავისით კი არ მომხდარა, არამედ „ეროვნული დამოუკიდებლობისათვის შეუპოვარი ბრძოლის შედეგი“ იყო. აზიის ამ ახალი სახელმწიფოს მიღება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად, თქვა მან, გაკვეთილი უნდა იყოს იმათთვის, ვინც შეიარაღებულ ძალით გამოყენებასაც კი არ ერიდება და ცდილობს შეინარჩუნოს დაგმობილი კოლონიური სისტემა.

ჩანკაიშელმა, რომელსაც ჯერ კიდევ უკანონოდ უკავია უშიშროების საბჭოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კუთვნილი ადგილი, გამოიყენა ამ საკითხის განხილვაც, რათა მორიგი სულელური ცილისწამებლური გამოხდომა მოეწყო „საერთაშორისო კომუნიზმის“ წინააღმდეგ.

უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც რჩევას აძლევს გენერალურ ასამბლეას მიიღოს მალაიის ფედერაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი. (საკდესი). 9 სექტემბერს დილის 10 საათსა და 30 წუთზე გაიმართება უშიშროების საბჭოს სხდომა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხზე. სხდომა განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების საკითხს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს

ნიუ-იორკი, 5 სექტემბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ შეიტანა განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ, სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ა. ა. სობოლევმა გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნა წერილი, რომელიც შეიცავს საბჭოთა კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტს. პროექტი წინადადებას იძლევა, რომ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად. წერილი აგრეთვე შეიცავს თხოვნას, რომ აღნიშნული რეზოლუციის პროექტი გაავრცელონ როგორც უშიშროების საბჭოს დოკუმენტი და დასვან განსახილველად საბჭოს სხდომაზე, რომელიც განიხილავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციას ახალ წევრთა მიღების საკითხზე.

საბჭოთა მძღოლების გამარჯვება კარიზში

პარიზი, 6 სექტემბერი. (საკდესი). საერთაშორისო სუნნივერსიტეტო სპორტულ ასპარეზობაზე, რომელიც პარიზში მიმდინარეობს, გუშინ დაიწყო შეჯიბრება მძღოლსობაში. პარიზის სპორტული საზოგადოებრიობის განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის. მსოფლიო რეკორდსმენმა ი. სტეპანოვმა (სსრ კავშირი) ბრწყინვალე შედეგს მიაღწია. მან დაძლია 2 მეტრი და 12 სანტიმეტრი სიმაღლე, რამაც ყველა მაყურებლის მჭუხარე ტაში გამოიწვია.

ამ მიღწევას მაღალი შეფასება მისცა პარიზის პრესამ. „სტეპანოვმა, — წერს გაზეთი „ოროორი“, — ცხადყო, რომ მისი რეპუტაცია გაზვიადებული არ არის... ეს გამარჯვება იყო. ეს იყო აგრეთვე სენსაციური მიღწევა, რომელიც პირველად არის ნაჩვენები პარიზში“.

მეორე საბჭოთა მხტომელმა ი. კაჩკაროვმა დაძლია 2 მეტრი და 01 სანტიმეტრი სიმაღლე. მესამე ადგილი დაიკავა ამერიკელმა შელტონმა, რომელიც ახტა 1 მეტრსა და 98 სანტიმეტრზე.

ბადროს ტყორცნაში ვაჟთა შორის ასპარეზობის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. კომპანეეცმა კარგი შედეგით — 53 მეტრი და 38 სანტიმეტრი. სიგრძეზე ხტომაში ქალთა შორის გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. კრეპკინამ. მისი შედეგია 6 მეტრი და 03 სანტიმეტრი. შუბის ტყორცნაში ქალთა შორის მეორე ადგილი დაიკავა ი. იაუნზემემ (სსრ კავშირი) შედეგით 52 მეტრი და 12 სანტიმეტრი. გამარჯვებული გამოვიდა რუმინელი შუბის მტყორცნელი დიკი, რომელმაც დაამყარა ახალი ეროვნული რეკორდი — 52 მეტრი და 38 სანტიმეტრი.

ჩანჩქერთან.

ფოტოტიუდი ლ. სანებლიძისა.

~ ბრაზილიელი მომღერლის კონცერტებზე ~

გამოჩენილი ბრაზილიელი მომღერალი ქალი ალისე რიბეირო, როგორც საპატიო სტუმარი, წელს მოწვეული იყო ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალზე და კლასიკური სიმღერაში გამართულ საერთაშორისო მხატვრული კონკურსის ჟიურიში შედიოდა თ. შალიაპინის მეგობარ საბელგანთქმულ იტალიელ ტენორ ტიტო სკიპასთან ერთად, ხოლო ფესტივალის დამთავრების შემდეგ საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს მოწვევით იგი კონცერტებით გამოდის ჩვენი ქვეყნის ქალაქებში. ამყამად ალისე რიბეირო საგასტროლოდ თბილისში ჩამოვიდა და გუშინწინ რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში პირველი კონცერტი გამართა.

თბილისელი მსმენელები მოხიბლა ალისე რიბეიროს შესანიშნავი ტემბრის სოპრანომ, რომელიც უაღრესი დეკლამაციური გამომსახველობით გამოირჩევა და სავსებით ბუნებრივად ეყრდნობა ყველა რეგისტრში. მაგრამ რაც მთავარია, ალისე რიბეიროს შესრულებლობითი მანერისათვის დამახასიათებელი მუსიკალურ-ფსიქოლოგიური დრამატიზმი და მდიდარი ვოკალური პალიტრა სრულყოფილად გამოყენებულია მუსიკალური ტექსტის ღრმად გახსნისათვის. ა. რიბეირომ მსმენელებს გააცნო ესპანეთის, პორტუგალიისა და ლათინური ამერიკის (ბრაზილიის, ბოლივიის და ა. შ.) ქვეყნების კომპოზიტორების — დე-ფალიას, გუასტავინოს, ლობოსის, კაბას, ობრადორსის, პონსეს, ენრიკეს, ბრაგას, სიკეირას და სხვათა ღრმა ეროვნული კოლორიტით გამსჭვალული ნაწარმოებები, რომლებიც მან პორტუგალურ და ესპანურ ენებზე დიდი არტისტული გზნებითა და ემოციურობით შეასრულა. განსაკუთრებული წარმატება ხვდა ბრაგას სიმღერა „პატარა სახლს“ და გუასტავინოს „მტირალ ძეწნას და ვარდს“, აგრეთვე შესანიშნავ მელოდიურ „სიმღერებს ბრაზილიელი ზანგების რელიგიურ მოტივებზე“, რომლის ავტორია ალისე რიბეიროს მეუღლე — ცნობილი ბრაზილიელი კომპოზიტორი სიკეირა (იგი სხვათა შორის ა. რიბეიროსთან ერთად მოგზაურობს საბჭოთა კავშირში და მისი კონცერტების დროს რუსთაველის საკონცერტო დარბაზში იმყოფებოდა).

ბრაზილიელი მომღერლის წარმატებას ხელს უწყობდა მოსკოვის კონსერვატორიის დოცენტის პიანისტ ნიკოლოზ მირონოვის აკომპანემენტი. ა. რიბეიროს შთაგონებულმა ხელოვნებამ დიდი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა თბილისელ მსმენელს.

ა. რიბეიროო აღფრთოვანებით ლაპარაკობდა VI მსოფლიო ფესტივალზე, მაღალი შეფასება მისცა კლასიკური სიმღერის საერთაშორისო კონკურსის ქართველ ლაურეატებს ნიჭიერ ახალგაზრდა ქართველ მომღერლებს ზ. ანჯაფარიძესა და ნ. ანდდღულაძეს. მან აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ფესტივალზე, ხოლო ახლა — თბილისში ყოფნისას გაეცნო ქართულ სიმღერებს, რომელთა მელოდიურობამ იგი მოხიბლა და მათ უახლოეს მომავალში შეიტანს თავის რეპერტუარში. ა. რიბეიროომ საუბარში აღნიშნა, რომ მას ძლიერ მოეწონა საბჭოთა საქართველო, რომელიც ბუნებისა და ჰავის პირობებით აგონებს მშობლიურ ბრაზილიას, ისევე როგორც ქართველები გარეგნულად ძალიან ჰგვანან ბრაზილიელებს და არგენტინელებსო. დასასრულ მან დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ქართველ მსმენელებს მოეწონათ შორეული ბრაზილიის ეროვნული სიმღერები.

დ. გველესიანი.

• • •

სურათზე: ბრაზილიელი მომღერალი ალისე რიბეიორო.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

შეჯიბრება ქართულ ჰიდალგოებში

საზოგადოება „გრიგალას“ ვაკის სტადიონზე დამთავრდა რესპუბლიკის უძლიერეს სოფლელ სპორტსმენთა პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჰიდალგოებში. საზოგადოება „კოლმეურნის“ სპატიო გარდამავალ თასს ერთმანეთს ეცილებოდა რაიონების 8 გუნდში 66 მონაწილე.

სამი დღის ბრძოლის შედეგად საზოგადოების ჩემპიონს წოდება თავიანთ წონითს კატეგორიებში მოიპოვეს ვ. ბეგიაშვილმა (სიღნაღი), ბ. მაისურაძემ (ახმეტა), ნ. ბესელიამ (ხობი), ა. ოდიშვილძა (გარეუბანი), ს. ჩიტაშვილმა (წითელი წყაროო), ლ. მაისურაძემ (ახმეტა), ი. კაჩიროზაშვილმა (წითელი წყაროო), ვ. ნასყიდაშვილმა (გორი).

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა გორელ მოჭიდავეთა კოლექტივმა. მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვეს ახმეტელმა, მესამე — მცხეთელმა სპორტსმენებმა. (საქდესი).

მ ო კ ლ ე დ

⊙ **ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით** თბილისის მასწავლებლის სახლში ამ დღეებში მოეწყო დასვენების საღამო. მასწავლებლებმა ქ. ტუსკიამ, რ. მურადოვამ, ფ. ნიშნიანიძემ, ვ. გეგელაშვილმა დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებანი საზღვარგარეთ მოგზაურობის შესახებ.

⊙ **ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის პირველი ბლოკის — კორპუსის მშენებლობა დამთავრდა** ჩელუსკინელების ქუჩაზე.

⊙ **ახალი სტომატოლოგიური პოლიკლინიკის მშენებლობისათვის** თოფურიძისა და ხუდადოვის ქუჩების კუთხეში თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიწის ნაკვეთი გამოუყო ლენინის რაიონის აღმასკომს.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაცკიძე.

მწერლობის მაღალი იდეურობისა და მხატვრულობისათვის

(დასასრული)

ბევრი სწორი და მართებული აზრია გამოთქმული აგრეთვე ნიკო ჯაკუბაძის წერილში „ესთეტიკური აღზრდის ზოგიერთი საკითხის გამო“. არც ორიგინალურია და არც საკამათო ამ წერილის ავტორის მოსაზრებანი იმის შესახებ, რომ ჩვენი სბავშვო წიგნები უფრო ლამაზად უნდა იყოს გაფორმებული, რომ სათამაშოები უფრო მიმზიდველად უნდა კეთდებოდეს, რომ სკოლაში მეტი ყურადღება უნდა ექცეოდეს მოწაფეთა ესთეტიკურ აღზრდას. მაგრამ ამ მართებულ კონკრეტულ მოსაზრებებს წინ უძღვის ზოგად-თეორიული მსჯელობანი, რომლებიც აშკარად გამოსჭვივის ავტორის მისწრაფება წინა პლანზე წამოსწიოს ხელოვნების ესთეტიკური ფუნქცია და მას უპირატესობა მიაკუთვნოს მხატვრული შემოქმედების იდეურ-შემეცნებით დანიშნულებასთან შედარებით. „...ხელოვნების თვითონ სილამაზეა, ეთიკურად რომ მოქმედებს ადამიანზე“, — წერს ნ. ჯაკუბაძე. მას არ მოსწონს, რომ პროგრამის მიხედვით სკოლაში მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებთა შესწავლისას უწინარეს ყოვლისა ლაპარაკია ლიტერატურის იდეური და პოლიტიკური მნიშვნელობის, მასში სიზოგადოებრივი ცხოვრების ასახვის, მწერლობის საზოგადოებრივი როლისა და ნაწარმოების ხალხურობის შესახებ და შემდეგ ფორმის და შინაარსის მთლიანობის საფუძველზე განიხილება ნაწარმოების იგებულების, მხატვრულ საშუალებათა სისტემის, სტილისა და ენის საკითხები. ლიტერატურული ნაწარმოების განხილვისას მისი იდეურ-სოციალური შინაარსისათვის განმსაზღვრელი როლის მიკუთვნება ავტორს ეულგარულ სოციოლოგიზმად მიაჩნია, რითაც იგი ობიექტურად ესთეტიზმისა და ფორმალიზმის ნიადაგზე დგება.

ნ. ჯაკუბაძეს არც ის მოსწონს, რომ სასკოლო პროგრამებში ლაპარაკი ყოფილა გალაქტიონ ტაბიძის მიერ სამხედრო-თავდაცვით თემებზე დაწერილი ლექსების შესახებ. „სამხედრო-თავდაცვით თემებზე შეიძლება (და უნდა) ტარდებოდეს მეცადინეობები, ვთქვათ, „დოსაააფის“ წრეებში, ხოლო პოეტები წერენ ლექსებს ადამიანთა გულებზე, რომელთაც ომი არ უნდათ, მაგრამ თუ საჭირო შეიქნა, მკერდით შეკრავენ სამშობლოს საზღვრებს“. ამგვარი მტკიცებით ავტორს სურს დაგვარწმუნოს, რომ პოეზიაში თითქოს მნიშვნელობა არა აქვს თემატიკას, თემატიკურ აქტუალობას. ოღონდ ლექსი ადამიანის გულზე იყოს დაწერილი და სულ ერთია, როგორი იქნება ლექსის თემატიკა და პრობლემატიკა. აქაც ავტორი მცდარ თვალსაზრისს იცავს. ჰოეტები წერენ ლექსებს ადამიანის გულში აღძრულ ამა თუ იმ გრძნობებსა და მისწრაფებებზე. ადამიანის გულში მრავალი სხვადასხვანაირი გრძნობები, განცდები, მისწრაფებები აღიძვრიან. ჰეშმარიტი პოეტი მათგან ყველაზე მნიშვნელოვანს, ღრმას და ესაზოგადოებრივად საინტერესოს გამოარჩევს და განასახიერებს თავის შემოქმედებაში. პოეტური ნაწარმოების ღირებულება უწინარეს ყოვლისა იმით განიზომება, თუ რამდენად დიდი, ღრმა და მნიშვნელოვანი აზრები და გრძნობებია მასში განსახიერებული. პოეტური ფორმა კი, პოეტური მეტყველების საშუალებათა სისტემა, მხატვრული ოსტატობა იმის მიხედვით ფასდება, თუ რამდენად ორგანული და შესატყვისია იგი ლექსის იდეურ-თემატიკური შინაარსისათვის.

ჟურნალის პირველი ნომრის სერიოზული ნაკლოვანებანი დროულად აღნიშნა და გააკრიტიკა ჩვენმა მწერალთა საზოგადოებრიობამ. მაგრამ, როგორც ჩანს, რედაქციას სათანადო დასკვნები არ გამოუტანია ამ მართებული კრიტიკიდან. ამიტომაც ჟურნალის მეორე ნომერს არსებითი შინაარსობრივი გაუმჯობესება არ ემჩნევა. ამ ნომერშიც მთელი რიგი ლექსები მოკლებულია საზოგადოებრივ აზრსა და მნიშვნელობას, იდეურ მიზანდასახულობას. მხატვრული პროზის ნაწარმოებთა შორის აქაც მხოლოდ ერთი მცირე მოცულობის მოთხრობა (რ. ბეჟანიშვილის „ზამთრის საღამო“) შეეხება საბჭოთა ადამიანების თანამედროვე ზრაფოის ცხოვრებას. ჟურნალში მოთავსებული ორი პატარა პუბლიცისტური წერილი — „სახელოვანი რევოლუციონერი“ (ავტორი რ. იმნაიშვილი) და „ჩვენი პოლიტიკა ხალხის სამსახურია“ (ავტორი კ. ივანიძე) ყოველად დაუდევრად არის რედაქციულად დამუშავებული, მათში ისეთი უხეში სტილისტური და კორექტურული შეცდომებია დაშვებული, რომლებიც შეუწყნარებლად ამახინჯებენ აზრს და მკითხველის კანონიერ გაოცებასა და უკმაყოფილებას იწვევენ.

მეორე ნომერშიც ღარიბი და უფერულია ლიტერატურული კრიტიკის განყოფილება. ჟურნალი რატომღაც გაურბის ჩვენი თანამედროვე მწერლების მნიშვნელოვან ნაწარმოებთა ღრმა, კომპეტენტურ კრიტიკულ განხილვას და ამის ნაცვლად აქვეყნებს ფუჭი „მეცნიერული“ პრეტენზიებით დაწერილ სქოლასტიკურ სტატიებს, რომლებშიც მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრინციპებთან შეუთავსებელი, აშკარად მცდარი შეხედულებებია გამოთქმული. ამის მკაფიო ნიმუშს წარმოადგენს ო. ჯინორიას წერილი: „დდებინი ამირის საკითხისათვის კრიტიკულ რეალიზმსა და რევოლუციურ-დემოკრატიულ რომანტიზმში“. წერილი აღსავსეა ლოგიკური წინააღმდეგობებით, ტერმინოლოგიური არეულ-დარეული, ბუნდოვანი აზრებით. ავტორი ცდილობს დაგვარწმუნოს, თითქოს „რევოლუციურ-დემოკრატიული რომანტიზმი“(!) უფრო ჰეშმარიტი რეალიზმი იყოს და უფრო ახლოს იდგეს სოციალისტურ რეალიზმთან, ვიდრე კლასიკური და კერძოდ კრიტიკული რეალიზმი. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ო. ჯინორიას ამ ახირებულ „აღმოჩენას“ საერთო არაფერი აქვს ლიტერატურის მეცნიერულ ისტორიასთან, სოციალისტური რეალიზმის გენეზისის მარქსისტულ-ლენინურ კონცეპციასთან.

ასევე მცდარია ძირითადი დებულება ახალგაზრდა ლიტერატორის გ. გაბუნიას წერილისა „თანამედროვე მოთხრობის სპეციფიკისათვის“. კლასიკური მოთხრობისაგან განმასხვავებელ სპეციფიკურ თვისებას თანამედროვე მოთხრობისას ავტორი ამაში ხედავს, რომ უკანასკნელისათვის თითქოს საჭირო არ იყოს მკვეთრი, კომპოზიციურად შეკრული და ჩამოყალიბებული სიუჟეტი. რატომ? რა მიზეზით? რასაკვირველია, ამ კითხვებზე წერილის ავტორი პასუხს ვერ იძლევა. იმის ნაცვლად, რომ კრიტიკოსი მოუწოდებდეს ჩვენს ბელეტრისტებს გაიღრმავონ და განავითარონ სიუჟეტისა და კომპოზიციის ოსტატობა, იგი ცდილობს ზოგიერთი თანამედროვე მოთხრობის სუსტი მხარე თანამედროვეობის მიერ ნაკარნახევ რაღაც სპეციფიკად გამოაცხადოს და, მაშასადამე, დააკანონოს.

ცხადია, ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის საზეს, მის იდეურ-შემოქმედებითს პოზიციას განსაზღვრავენ უწინარეს ყოვლისა პოეზიისა და პროზის, პუბლიცისტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის განყოფილებანი. სწორედ ამ უმნიშვნელოვანეს დარგებში ჟურნალ „ცისკრის“ ორ პირველ ნომერს სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს.

ჟურნალის რედაქცია სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდეს ამ მდგომარეობას. მან უახლოეს ნომრებშივე საფუძვლიანად უნდა გაუმჯობესოს და გაამდიდროს ჟურნალის შინაარსი. „ცისკარი“ ჩვენი ახალგაზრდობის იდეური აღზრდისათვის, ჩვენი ლიტერატურის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის მებრძოლი ორგანო უნდა გახდეს. იგი თანმიმდევრულად უნდა იცავდეს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მთავარ ხაზს. „განვითარების მთავარი ხაზი კი ის არის, — ამბობს ამ ხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომ ლიტერატურა და ხელოვნება მუდამ განუყრელად იყოს დაკავშირებული ხალხის ცხოვრებასთან, მართლად ასახავდნენ ჩვენი სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებას, მკაფიოდ და დამაჯერებლად გვიჩვენებდნენ საბჭოთა ხალხის დიდ გარდამქნელ საქმიანობას, მის მისწრაფებათა და მიზანთა კეთილშობილებას, მაღალ მორალურ თვისებებს. ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულებაა ხალხის თანაზმა კომუნიზმის მშენებლობაში ახალი წარმატებებისათვის საბრძოლველად“.

ბესარიონ ჟღენტი.

დ ღ ე ს
თბილისის კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი (საზამთრო და საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — ვეფხვის ბუნაგში, **ამირანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (საზამთრო), **საქართველო** (მეორე დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **ვაკის პარკი** — მოხუცი ხოტაბიჩი, **ამირანი** (საზაფხულო), **ისანი** (საზაფხულო), **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — ჩრდილი გზაზე (რუსული ვარიანტი), **ისანი** (საზამთრო), **საქართველო** (პირველი დარბაზი), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — დონ-კიხოტი, **სპარტაკი, ძერჟინსკის სახელობის საზაფხულო კლუბი** — ჩემი საუკეთესო საყვარელი დედა, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — მე შევხვდი ქალიშვილს, **კოლხიდა** (საზაფხულო) — მირზა გალიბი, **ოფიცერთა სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი, კოლმეურნე, დიდუბე** (საზამთრო) — ხანკა, **დიდუბე** (საზაფხულო) — ქალიშვილი შუქურადან, **ყაზბეგი** — შეუპოვარი გოგონა, **კიროვის სახელობის პარკი** — პოდგოლიე ეცეცლში, **სარეწაო კოოპერაციის ცენტრალური კულტურის სახლი** — ბატონი 420 (I და II სერია), **კომკავშირელი, კომუნარების ბაღი** — სიყვარული და ცრემლები.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია საზაფხულო თეატრი და ბაღი

(პლეხანოვის პრ. № 123 ტელ. 3-18-50)

9, 10, 11, 12, 13 სექტემბერს მოსკოვში ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-6 მსოფლიო ფესტივალის მონაწილე არგენტინის მსახიობთა (ბუენოს-აირესი)

კონცერტები

ხელმძღვანელი **არიელ რამირეცი**

პროგრამაში:

არგენტინული ცეკვები და სიმღერები

დასაწყისი საღ. 9 საათზე

ბილეთების წინასწარი გაყიდვა 6 სექტემბრიდან. დარჩენილი ბილეთები ფილარმონიის სალაროში კონცერტის დღეს დილის 11 საათიდან სალამის 9 საათამდე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი მუშაკის (კლინიკური ფსიქოპათოლოგია) 1 განკანტურ ადგილზე — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ან ჯეროვანი სტაჟის მქონე პრაქტიკოსი ექიმი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე განცხადება შემდეგი საბუთების დართვით (2 ცალად): კადრების აღრიცხვის ფურცელი ფოტოსურათით, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ნოტარიული პირი, ცნობა სამეცნიერო ხარისხის შესახებ, სამეცნიერო შრომების სია და თვით შრომები, ავტობიოგრაფია, ცნობა მუშაობის